ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 5 მარტი, 2013 №53 (6054) ფასი: 30 თეთრი

5 მარტიდან!
„ახალი თაობა“ +
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
8 ლარი
ტომი 4

ბიძინა ივანიშვილი: „19 აპრილს ნაციონალები თავს შეირცხვენენ“

რატომ გრძნობს სააკაშვილი თავს არაკომფორტულად



გვ.3

გვ.3

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა

ალეკო შალამბერიძე: „რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყოს“

გვ.4

გიორგი ონიანი: „ახალაიას სასამართლო პროცესზე პროკურატურა ზეწოლას ახორციელებს“

რა განაჩენი გამოუტანეს ყოფილ მინისტრს კანონიერმა ქურდებმა

გვ.4

გიორგი გაჩეჩილაძე; „ჭყისა და მიწის გასხვისების მაქინაციებში საჯარო რეესტრი იყო ჩართული“

გვ.2

დედოფლისწყაროს პირველი სკოლის დირექტორს პროკურატურამ ბრალი წარუდგინა

დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის დირექტორს, მაია ლაპიაშვილს სიღნაღის პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით ბრალი წარუდგინა.

„ქიზიყი.გე“-ს ინფორმაციით, ლიპარტელიანს, რამდენიმე წლის წინ, სკოლიდან გათავისუფლებული პედაგოგები უჩივიან. პროკურატურამ სასამართლოს დირექტორისთვის უფლებამოსილების შეჩერების შუამდგომლობით მიმართა, თუმცა მოსამართლემ ბრალდების მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მაია ლაპიაშვილი ამ დრომდე დირექტორის თანამდებობას იკავებს.

გათავისუფლებული პედაგოგები აცხადებენ, რომ მაია ლაპიაშვილს თეა თუთბერიძე მფარველობდა და მისი დასჯა ამ დრომდე ამიტომ ვერ მოხერხდა. თავის მხრივ, პროკურატურის მიერ „საქმის შეთითხვნაზე“ სკოლის დირექტორიც საუბრობს.

ნიუსპრესი

27 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
მაო ძედუნი
8 ლარი



2 რა თანამდებობრივი დანაშაული ჩაიდინა კოტე კუბლაშვილმა?

6 მერაბ ტურავა: „სასამართლოს განაჩენები გადაისინჯება“

7 თბილისელები შეიძლება ისევ მიკროავტობუსების გარეშე დარჩნენ

6 პარტიები და ლიდერები

გიორგი გაჩეჩილაძე; „ტყისა და მიწის გასხვისების მაქინაციებში საჯარო რეესტრი იყო ჩართული“

გულიკო ბალაძე

1 მარტს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა მწვანეთა პარტიის ლიდერის (ამჟამად საქართველოს პარლამენტის დეპუტატი) სარჩელი „გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სარჩელი სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში წინა პარლამენტის მიერ გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები გახდა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია, მაგრამ გიორგი გაჩეჩილაძე დადებით პასუხს ელოდება.

– ბატონო გიორგი, კონკრეტულად, რა იყო თქვენ მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელის არსი?

– კანონმდებლობა, რომელიც გარემო დაცვის სფეროში შეიქმნა 1992 წლიდან მოყოლებული, საერთოდ, ჩვენი ძალისხმევის შედეგია. მწვანეთა პარტიამ 7 წელი პარლამენტში ყოფნისას მოახერხა მთელი გარემოს დავის რეფორმის ჩატარება. 1992-95 წლის პარლამენტში გარემოს დაცვის კომიტეტი მწვანეთა პარტიის იყო, გარემოს დაცვის კანონმდებლობაზე ჩვენ ვმუშაობდით და 1995-1999 წლების პარლამენტშიც გარემოს დაცვის კომიტეტს ჩვენ ვკურირებდით. მისი თავმჯდომარე გახლდათ პროფესორი გიგინეიშვილი, მე კი პირველი მოადგილე გახლდით. კომიტეტი დაკომპლექტებული იყო მწვანეთა პარტიით. მაშინ ჩვენ გავაკეთეთ 21 ფუნდამენტური კანონი, რომელიც მთლიანად მოვიყვანეთ ჰარმონიზაციაში მაშინ არსებულ ევროკავშირის დირექტივებთან, რადგან ევროპაში ძალიან დიდი ყურადღებას აქცევენ, გარემოს დაცვის როგორი კანონმდებლობა გაქვს, როგორ უდგება სახელმწიფო ამ სფეროს. თუ შენ ევროკავშირში გაწევრიანება გინდა, მისი ძირითადი კრიტერიუმია, სახელმწიფოში როგორი გარემოს დაცვის პოლიტიკა გაქვს.

– თუ გარემოს დაცვის შესახებ მიღებული კრიტერიუმებით ვიმსჯელებთ, ცხადი ხდება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მუშაობდა იმაზე, საქართველო რაც შეიძლება დაეშორებინა ევროკავშირისთვის.

– სამწუხაროდ, როცა ლაპარაკობენ, ნატოსა და ევროკავშირში ვწევრიანდებით თუ არა, ამის თაობაზე დისკუსიები ლაყბობის დონეზეა. ძალიან დაბალი მომზადების დონეა. საზოგადოებამ უნდა იცოდე, რეალურად მიდის თუ არა სახელმწიფო გაცხადებული კურსის შესაბამისად. მართლა აპირებს თუ არა მოახდინოს ინტეგრაცია ევროკავშირში თუ ნატოში. ამისთვის არსებობს სპეციალური კრიტერიუმები, რომელსაც ჰქვია კოპენჰაგენის კრიტერიუმები, რომელიც მიიღეს კოპენჰაგენში 1993 წელს. ეს არის უზარმაზარი დოკუმენტი, სადაც გარკვევით წერია, რა ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ მიეცეს, ვთქვათ, ევროკავშირში გაწევრიანების შანსი. ნატოში გაწევრიანების კრიტერიუმების პოლიტიკური ნაწილიც ამ დოკუმენტზეა დაფუძნებული. გაოცებული ვარ, არც ერთ დებატში მონაწილეობის საშუალებას არ მაძლევენ.

– ვინ არ გაძლევთ დებატებში მონაწილეობის საშუალებას?

– არ ვიცი, რაც ადრე ხდებოდა, იგივე ხდება ახლაც. ძალიან მარტივი რაღაცაა. რად უნდა ამას საათნახევრიანი ლაყბობა. არის კრიტერიმები, შეაფასებ სახელმწიფო ასრულებს თუ არა ამ კრიტერიუმებს. თუ არ აასრულებდა, იტყვი, რომ წინა ხელისუფლება არ ასრულებდა ამ კრიტერიუმებს. როცა გარემოს დაცვის კომიტეტში მწვანეთა პარტიის წარმომადგენლები ვიყავით, ამ სფეროს მთელი რეფორმა ამაზე ავაგეთ. მაშინაც ხელისუფლება ამბობდა, ევროკავშირი გვინდაო და მოლაპარაკებას აწარმოებდა ნატოსთან. ამიტომ ჩვენ ისეთი კანონმდებლობა შევქმენით გარემოს დაცვაში, რომ ჰარმონიზებული ყოფილიყო ევროკავშირთან. როგორ კოპენჰაგენის კრიტერიუმებში, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულებაში (ახლა რომ მიდის ლაპარაკი), ნატოშიც, ასეთი ტიპის მიდგმაა გარემოს დაცვის სფეროსადმი. როცა ვიღაც სააკაშვილის ხელისუფლებას იხილავს და სააკაშვილზე ლაპარაკია, საით მიდიოდა ის, რომ ნახავთ მის გადადგმულ ნაბიჯს, დარწმუნდებით, რომ ის ევროკავშირსა და ნატოში არ მიდიოდა. მაგალითად, იმ კრიტერიუმების სამი ძირითადი ფუნდამენტია. 1. დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, ანუ თავისუფალი მედია, თავისუფალი, კონტროლის გარეშე არსებული სასამართლო. ისეთი სახელმწიფო სტრუქტურები, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიული სისტემის განვითარებას, ანუ დამოუკიდებელი პარლამენტი, დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლება, დამოუკიდებელი თვითმმართველობა და ა.შ. უნდა იყოს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები ქვეყანაში. არ უნდა იყოს მონოპოლიები და აღმოფხვრილი უნდა იყოს კორუფცია. კრიტერიუმებში საუბარია აგრეთვე საფინანსო პოლიტიკაზე და სხვა საკითხებზე და სააკაშვილი, რა თქმა უნდა, ამ სფეროებშიც ყველაფერს უკუღმა აკეთებდა. მესამეა – სოციალური პრობლემები, რომელ სფეროშიც მკაცრი მოთხოვნებია. მთლიანად გარემოს დაცვის პოლიტიკა უნდა იყოს მსგავსი, ან შესაბამისი ევროკავშირის მოთხოვნებისა გარემოს დაცვის სფეროში. კანონები აბსოლუტურ შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის კანონებთან. ამასაც თუ შეაფასებ, უნდა თქვა, დაანგრიეს, რაც ჩვენ გარემოს დაცვის სფეროში გავაკეთეთ, რომელსაც აფასებდნენ, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე წინგადადგმულ ნაბიჯს ამ დარგში, მხოლოდ დანგრევაში არ არის საქმე.

– ამ ფონზე, როცა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ნაციონალებმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანეს, როგორ უმენთ, როცა თავს დიდ ევროპელებად და ატლანტიკოსებად წარმოგვიდგენენ?

– ნაციონალების აგონიურ მდგომარეობას არაფერი უშველის, იმდენი დანაშაულია ჩადენილი. გარემოს დაცვის გარდა, ადამიანის უფლებების სფეროში ჩადენილია უამრავი დანაშაული. ასევე ჩადენილია უამრავი კორუფციული დანაშაულობები. როგორც ჩემთვის ცნობილია, ასი ათასამდე წართმეული ბიზნესი არსებობს საქართველოში. ფაქტობრივად, ქვეყანაში ყველა დაატერორეს. ამის პარალელურად, გამოჩნდა ინფორმაციები, რომ ის დაგეგმილი დიდი მშენებლობები, რომელიც ნაციონალებს ჰქონდათ, საქართველოს მოსახლეობისა და ქართული ეთნიკურობის წინააღმდეგ იყო მიმართული. თითქოს ახალგაზრდული ბანაკის მშენებლობა 126 ათას კაცზეა და ვინ აშენებს თქვენ კარგად იცით – ჩინელებთან რაღაც პირობით არის დადებული შეთანხმება. ჩინელები მას თავისი ფულით აშენებენ და მათ აქვთ უფლება, ჩამოასახლო, ან თვითონ შეიძინონ ეს ფართები.

– რა პოზიცია აქვს ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით თქვენს ხელისუფლებას?

– მე მგონი, პროცესები ისე წარიმართა, რომ ჩინელები თვითონ ამბობენ, ჩვენ არაფერ შუაში არ ვართ, ასეთი რამ არ იქნებაო. ვნახოთ, ვფიქრობ, ეს პრობლემა მოგვარდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას არ დავუშვებთ. იგივე იყო ლაზიკას პროექტი. ლაზიკას აშენების შემთხვევაში 500 ათასი კაცი უნდა ჩამოესახლებინათ.

– როგორც ჩანს, ლაზიკაშიც უცხოელების ჩამოსახლება იგეგმებოდა,

– ჩინეთის ტელევიზიებში გადაოდა რეკლამა ლაზიკის, როგორც. ახალი ქალაქის მშენებლობის თაობაზე. ეს ნამდვილი ამბავია. რეკლამას აკეთებდნენ ჩინელების ჩამოსასახლებლად. ახლა გამოჩნდა ინფორმაცია ინდოელებთან დაკავშირებით, რომლებსაც კახეთში უზარმაზარი ტერიტორიები აქვთ შეძენილი. 500-მდე მიწის ნაკვეთი აქვთ. პატარა ნაკვეთისთვის აქ არავინ შემოვიდოდა. ამის გარდა არის ბურების ჩამოსახლების პროგრამაც.

– საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ მითხრა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაშვებულია უძრავ-მოძრავი ქონებისა და მათ შორის მიწის შესყიდვა.

– მიწის უცხოელებზე გაყიდვა არის აკრძალული, მაგრამ ხდება გრძელვადიანი იჯარით, ან სხვა რაღაც მაქინაციებით გასხვისება. ისევე, როგორც ტყის გაყიდვა და პრივატიზაცია აკრძალულია ადგილობრივზეც და უცხოელებზეც, მაგრამ მოგონილი ჰქონდათ ეშმაკობა, ტყის ტერიტორიას უცვლიდნენ სტატუსს, თითქოს ეს იყო სასოფლო-სამეურნეო მიწა და შემდეგ მის პრივატიზაციას ახდენდნენ. ამას აკეთებდა საჯარო რეესტრი. კანონი რომ შეცვალეს, ტყის კოდექსშიც დამ იწის კანონშიც ჩაწერეს, რომ საჯარო რეესტრს აქვს უფლებამ შეცვალოს მიწის კატეგორია. მიწის კატეგორია შეიძლება იყოს ტყის ფონდის მიწა და ა.შ.

– საჯარო რეესტრის ხელმძღვანელი ვაშაძე არ იყო, ახლა პარლამენტის წევრი რომ არის და აქვთ პრეტენზიები, თითქოს თვითონ წმინდა წყალია?

– ამ საკითხებზე იმიტომ ვლაპარაკობ, საზოგადოებას დავანახვო, ოქტომბრის არჩევნებმა რა საშიშროებას აგვარიდა. როგორც ჩანს, დაგეგმილი იყო საქართველოში ეთნიკური სურათის ცვლილებები.

– დიახ, აშკარაა, რომ დემოგრაფიული სურათის შეცვლა იგეგმებოდა.

– დიახ, აგრარული პოლიტიკა ამაზე იყო მიბმული. ხელოვნურად ინგრეოდა სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 80% იმპორტული იყო, რამაც მოკლა აგრარული სექტორი, დაცალა სოფლები, გააიაფა მიწები და ამ გაიაფებულ მიწებს გაჭირვებული გლეხი იოლად ყიდიდა.

რა თანამდებობრივი დანაშაული ჩაიდინა კოტე კუბლაშვილმა?

შორენა კოწოწაშვილი

სასამართლო ხელისუფლებაში არსებული უმძიმესი მდგომარეობა – საბოტაჟის ნიშნები არა მხოლოდ ქართული მედიის განხილვის საგანია. უზენაეს სასამართლოში არაიურისტი პირების მოსამართლეებად მუშაობის ფაქტები და კონსტიტუციის დარღვევით არაუფლებამოსილი პირების სასამართლო ხელისუფლებაში მოსვლა – ეს ის ბრალდებების, რომლებიც არაერთი სხვა ბრალდების პარალელურად ქვეყნის პირველი მოსამართლის – კოტე კუბლაშვილის წინააღმდეგ ისმის და რამაც შეიძლება საბოლოოდ კუბლაშვილის იმპიჩმენტიც გამოიწვიოს. საპარლამენტო უმცირესობა უკვე საუბრობს კუბლაშვილის იმპიჩმენტზე.

რატომ უპირისპირდება კოტე კუბლაშვილი ყოფილ მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილს, რომელმაც კუბლაშვილის და იუსტიციის საბჭოს მხრიდან სერიოზული კანონდარღვევა გამოააშკარავა და სადამდე მივა პროკურატურა ამ საქმის გამოძიების ეტაპზე? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ ალექსანდრე ალადაშვილთან.

– ბატონო ალეკო, ფაქტია, მოქმედი მოსამართლების არაიურიდიულმა განათლებამ საზოგადოებაში დიდი ხმაური გამოიწვია. რას ნიშნავს ის ტენდენცია, რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან ფიქსირდება არაიურისტი მოსამართლეების დაცვის კუთხით?

– ფაქტი დადასტურებულია, რომ მოსამართლე ალავიძემ დაამთავრა მეორადი ფაკულტეტი თსუ-ში, მეორადი ფაკულტეტი ხელოვნებისა და ჰუმანუტარულ სპეციალობათა სამწლიანი კურსი. ამ სამწლიანი კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს არ ენიჭება კვალიფიკაცია. შესაბამისად ამ დიპლომის მქონე პიროვნება არ არის იურისტი. ამას ადასტურებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი დავით კერესელიძე, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სანადირაძე. მათ მიერ ხელმოწერილი წერილები თავის დროზე გაიცა მოქალაქე მაისურაძეზე, რომელმაც ოფიციალურად მიმართა უნივერსიტეტს და დასვა საკითხი: ითვლება თუ არა მოსამართლე ალავიძეზე გაცემული დიპლომა სრულფასოვან



დოკუმენტად და ჰქონდა თუ არა ალავიძეს ამ დიპლომით მოსამართლედ მუშაობის უფლება. მაისურაძეს პირდაპირ გასცეს პასუხი, რომ ალავიძეს ამის უფლება არ ჰქონდა. ამის გარკვევა მაისურაძეს იმისთვის დასჭირდა, რომ სამოქალაქო დავა ჰქონდა, რომელიც მოსამართლე ალავიძემ განიხილა და ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვდა. მაგრამ უზენაესმა სასამართლომ იმთავითვე უარი უთხრა. მოსამართლე ალავიძეს რომ არ აქვს დიპლომი იურისტის კვალიფიკაციით, ამაზე ვერავინ დავობს. ამის საწინააღმდეგო დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა, რომელიც ბოლომდე იცავს მოსამართლე ალავიძეს. იცით, რომ კუბლაშვილი იუსტიციის საბჭოს ხელმძღვანელია და ის იღებს გადაწყვეტილებას, ვინ უნდა დაინიშნოს მოსამართლედ. სანამ კონკრეტულ პირს მოსამართლედ დასამტკიცებლად პარლამენტში წარადგენენ, ბუნებრივია, მათ პირად საქმეს კუბლაშვილი ეცნობა. გამოდის, კუბლაშვილმა იცოდა, რომ ალავიძეს იურიდიული განათლება არ ჰქონდა და მაინც დანიშნა მოსამართლედ, მით უფრო, ეს ხდება მაშინ, როცა უკვე არსებობდა საჩივარი მაისურაძის, რომელმაც პრეტენზია გამოთქვა ალავიძის, როგორც არაუფლებამოსილი პირის მხრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაზე. ფაქტია, ბოლო 9 წელი განუკითხაობის პერიოდი იყო და ალავიძემ მოსამართლის თანამდებობა შეინარჩუნა. არ ვიცი, რა ინტერესები ამოძრავებდა კუბლაშვილს, მაგრამ ფაქტია, მან მოსამართლედ არაიურისტი პიროვნება დანიშნა. ალავიძე ჯერ იყო სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, შემდეგ კი კუბლაშვილმა თავისთან, უზენაესში წაიყვანა. თქვენ იცით, რომ მე ოფიციალურად მივმართე ხელისუფლებას, შესაბამის უწყებებს, პარლამენტს, პროკურატურას და ვითხოვე, შეესწავლათ მოსამართლე ალავიძის მოსამართლედ დანიშვნის საკითხი და კანონის შესაბამისად ემოქმედათ. ეს კონსტიტუციის დარღვევაა და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. ალავიძის პარალელურად გამოიკვეთა მსგავსი დიპლომის მქონე მეორე მოსამართლეც მაია გიგაური. კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ მოსამართლე უნდა იყოს იურისტი.

– ბატონო ალეკო, როგორც ცნობილია, მთავარმა პროკურატურამ აქტიურად დაიწყო თქვენი საჩივრის ირგვლივ მოკვლევა.

– გეთანხმებით. პროკურატურამ დაიწყო ამ საქმის გამოძიება, მაგრამ როგორ მოიქცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე – აქცენტი ისევ ჩემკენ გადმოიტანა. რა თქმა უნდა, კუბლაშვილს არ უნდა, რომ აღიაროს, რომ ეს ასეა და ალავიძე იურისტი არ არის. ბუნებრივია, არაიურისტი პიროვნების მოსამართლედ დანიშვნისთვის პრობლემები თავად კუბლაშვილსაც შეექმნება. მე თუ მკითხავთ, წესით, პრობლემები უკვე შექმნილი უნდა ჰქონდეს, თუ არადა, შეექმნება. უკანონობის ფაქტი სახეზეა და კუბლაშვილი ამას ვერ გაექცევა.

– ბატონო ალეკო, სამართლებრივად როგორ ფასდება კუბლაშვილის ქმედება – დანაშაულის დაფარვად?

– დანაშაულის დაფარვაც არის და თანამდებობრივი დანაშაულიც. იმიტომ, რომ იცი, რომ არ ეკუთვნის მოსამართლეობა და მაინც მოსამართლედ გაამწესე. აქ დგება პასუხისმგებლობის საკითხი არა მხოლოდ კუბლაშვილის და იმ ხალხის, ვინც ალავიძე მოსამართლედ გაამწესა, არამედ თავად ალავიძისაც. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ალავიძემ ხომ ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ დიპლომით მას უფლება არ ჰქონდა, დაეკავებინა მოსამართლის თანამდებობა. ვის დაარწმუნებს ახლა ის, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა? ალავიძეს, როგორც სამოქალაქო საქმეთა მოსამართლეს, არც მოსამართლედ მუშაობის უფლება ჰქონდა და არც ხელფასის აღების. აქ საქმე უფრო ღრმად მიდის. კუბლაშვილი ყველანაირად ცდილობს, რომ ალავიძე როგორმე გამოაძვრინოს ისევე, როგორც მეორე მოსამართლე გიგაური. ამით კოტე კუბლაშვილს უნდა თავისი თავის გადარჩენა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადება

2012 წლის 29 ნოემბერს „ახალ თაობაში“ გამოქვეყნდა მასალა მაია ფანჯიკიძის შესახებ. სტატია „ფორუმ.გე“-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით გაკეთდა. ფორუმზე წარმოდგენილი მასალა ისე იყო მოწოდებული, თითქოს ის გერმანულმა გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა“ დაბეჭდა.

ჩვენ დაგვიკავშირდა „ბერლინერ ცაიტუნგის“ წარმომადგენელი და აღნიშნა, რომ მსგავსი მასალა „ბერლინერ ცაიტუნგში“ არ დაბეჭდილა.

გაზეთი „ახალი თაობა“ ბოდიშს უხდის მაია ფანჯიკიძეს და „ბერლინერ ცაიტუნგს“ ამ გაუგებრობის გამო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბიძინა ივანიშვილი: „19 აპრილს ნაციონალები თავს შეირცხვენენ“

რატომ გრძნობს სააკაშვილი თავს არაკომფორტულად

ნათია ხურცილავა

მიხეილ სააკაშვილი კანცელარიაში ზუსტად დათქმულ დროს, სამ საათზე თავისი ელექტრომობილით მივიდა. ამჯერად დაცვის თანხლებით. ბიძინა ივანიშვილთან ერთი ერთზე შეხვედრა კანცელარიის საპრეზიდენტო ფლიგელში, მე-11 სართულზე გაიმართა. შეხვედრა თითქმის საათ-ნახევარს გაგრძელდა.

დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ცალ-ცალკე წარდგნენ ჟურნალისტების წინაშე. პირველი კომენტარი პრესასთან მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა.

– ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესოა. საინტერესო იმ კუთხით, რომ ჩვენს ხედვებში ფუნდამენტური განსხვავებებია, რასაც არც ერთი არ ვმალავთ. რამდენადაც რთული უნდა იყოს ერთმანეთზე ამ განსხვავებულობის თქმა, სწორია, რომ საუბრები გვქონდეს და ერთმანეთს არა ტელეკამერების, ფეისბუკის მეშვეობით ვესაუბრებოდეთ, არამედ პირისპირ. – განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან ისაუბრა, თუ როგორი რთული და მძიმეა მისთვის უმოქმედობა და ისიც ახსნა, რატომაც რჩება პრეზიდენტის თანამდებობაზე.

– რამდენიმე ასპექტია, პირველ რიგში მე, როგორც პრეზიდენტი, საკმაოდ უჩვეულო მდგომარეობაში ვარ. შეჩვეული ვარ, ყოველ დილით ხალხმრავალ შეხვედრებს, საკითხების განხილვებს, ახალი ობიექტების გახსნას, ახალი მშენებლობების დაწყებას. დღეს ჩემი დღეები ასეთი გრაფიკისგან თითქმის დაცლილია. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბათუმში თეატრს ვხსნი ერთ საათში. ჩემთვის ასეთი უმოქმედობა მძიმე ტვირთია, რომ გითხრათ, ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს ამ თანამდებობაზე დღევანდელი ვითარებით, ეს სიცრუე იქნება და ამას არ გაკადრებთ. ერთადერთი მიზეზი, რატომაც ვრჩები თანამდებობაზე, ეს არის – დემოკრატიული სივრცე შევინარჩუნოთ ქვეყანაში. შევქმნათ საკონსტიტუციო სტაბილურობის შესაძლებლობა. ერთმანეთთან ცივილიზებული ურთიერთობის შესაძლებლობა. ახლა ეს არის ჩემი მთავარი ფუნქცია. – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, ოპოზიცია უნდა იყოს თუნდაც იმისთვის, რომ წინა მთავრობის შეცდომებისგან დააზღვიოს ახალი მთავრობა.

– ჩემი ინტერესია ქვეყანაში თავისუფალი სასამართლო შენარჩუნდეს. სასამართლო ბუნებრივად ვერ იქნება ჩემი დიქტატის ქვეშ, რადგან მე ამის ბერკეტი არ გამაჩნია. სასამართლო არც პროკურატურის, არც რომელიმე სამთავრობო უწყების დიქტატისა და შანტაჟის ქვეშ არ უნდა იყოს. ჩვენი თავისუფლებისთვის და დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს განცდა ჰქონდეს, ის ხელშეუხებელია. სასამართლო საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს სრულფასოვან ინსტიტუტად. ეს არის ჩემი პირველი მოთხოვნა. მეორე, უნდა შეწყდეს ყველანაირი ზეწოლა მედიაზე, სხვადასხვა ზეწოლები იყო საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ხელის ფათური იყო. ქვეყანაში იქნება ერთი სახის მედიაც და მეორე სახის მედიაც. მთავარია მივაღწიოთ, რომ პლურალიზმი იყოს და არავის ჰქონდეს მთელი მედიის გაკონტროლების ცდუნება. მაშინ ამ ქვეყნის მოქალაქეებს ალტერნატიული აზრის გაგების შესაძლებლობა არ ექნებათ. ქვეყანაში ალტერნატიული აზრი და ოპოზიცია უნდა იყოს. ამაზე უნდა შევთანხმდეთ. რა თქმა უნდა, არავის არ აქვს იმუნიტეტი, არც პრეზიდენტს, არც მერს, არც დეპუტატებს სისხლის სამართლებრივი დევნისგან, მაგრამ მასობრივი დევნა, რამდენიმე ათეული ათასი ჩვენი მოქალაქის, ეს ცუდია არა მხოლოდ ამ ადამიანებისთვის, არამედ ამ მთვარობისთვის და ქვეყნისთვის. – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, ერთმანეთზე ჭორების და ინტრიგების აგორება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ოკუპანტს გაახარებს.

– ალბათ, ტელევიზორები გაქვთ და ალბათ, ნახეთ, ოფიციალური განცხადებები, რომელიც ჩვენი კოლეგების მხრიდან გაკეთდა. ნახეთ, როგორი რიტორიკა იყო და მე პირადად არ მახსოვს, ასეთი მაგარი დახვედრა, როგორიც ბოლო ვიზიტების დროს გვქონდა სხვადასხვა ქვეყნებში. ეს არის განპირობებული არა ჩემი პიროვნული ფაქტორით, არამედ საქართველოს მიმართ კეთილმეზობლური განწყობით და იმის შენარჩუნების სურვილით, რაც საქართველოში იყო და ახლა ჩვენ შეგვიძლია ინტრიგები ვხლართოთ ერთმანეთში და სხვადასხვა ინტერპრეტაციები შევქმნათ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება დ ტელევიზორი, ვისაც ჰქონდა და ყურები და თვალები ვისაც ნამდვილად აქვს, დაინახავდა, როგორი რიტორიკა იყო და როგორ შეგვხვდნენ. მეტი რა ვქნათ. ჩვენ ვმოქმედებთ საქართველოს ინტერესებით და ახლა ერთმანეთზე ჭორების და ინტრიგების აგორება რომ დავიწყოთ, მოგვცემს ეს რამეს?! – არ მოგვცემს. გაახარებს ვის? – მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ოკუპანტს გაახარებს და მე ამ თამაშებს არ ვთამაშობ. – განაცხადა სააკაშვილმა.

სააკაშვილი პრემიერს მოუწოდებს, საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე განსხვავებები საჯარო განხილვის თემად არ აქციონ.

– კიდევ ერთი საკითხი იყო, განვიხილეთ ჩემი ამასწინანდელი ვიზიტები, აქაც სხვადასხვა ხედვები გვაქვს. იმიტომ, რომ მათ მიაჩნიათ, რომ პრობლემები შეიქმნა. მე კიდევ მიმაჩნია და თქვენ ტელევიზორშიც ყველამ ნახეთ როგორ ვიცავთ ჩვენ საქართველოს პოზიციებს. ერთია, ჭორები ვინ რას ლაპარაკობს, მაგრამ ეს ფუნქცია მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს განვითარება გაგრძელდეს და ჩვენ ხავერდოვანი გადასვლა მოვახდინოთ ერთი სამთავრობო გუნდიდან მეორეზე, რომ ის ჩავარდნები რაც გარდაუვალია, არ მოხდეს. ჩვენ შეგვექმნა საერთაშორისო საკითხებში ბევრი პრობლემატური თემები და მე მზად ვარ, ამ პრობლემების გადაწყვეტაშიც მივეხმარო მთავრობას, კი არ უნდა დავცხოთ ერთმანეთს. მე რა თქმა უნდა, არ გამოვალ და არ ვიტყვი, რომ ნახეთ, როგორ გააფუჭეთ ყველაფერი, იმიტომ, რომ მე მიმაჩნია, რომ ეს უნდა იყოს ჩვენი შიდა პოლიტიკური დებატების თემა, შეიძლება იყოს პრობლემები ან არ იყოს, მაგრამ თქვენ ნახეთ, როგორ ხვდებიან საერთაშორისო ორგანიზაციებში და როგორი საჯარო განცხადებები გაკეთდა უმაღლესი ხელმძღვანელების მიერ, ეს არ არის ჩემდამი პატივისცემა, ეს არის საქართველოსადმი პატივისცემა. ეს არის სწორედ ის ინსტრუმენტი, რომელიც მზად ვარ, ამ ჩემი პრეზიდენტობის ბოლო წუთამდე გამოვიყენო იმისთვის, რომ საქართველო ვერავინ, პირველ რიგში, ჩვენმა მტერმა ვერ დახიოს უკან. ამიტომ მოვუწოდებ პრემიერს, ამ თემებზე ჩვენი განსხვავებები საერთოდ არ უნდა განვიხილოთ საჯაროდ თუ ჩვენ ერთმანეთს დავცხებთ საგარეო

პოლიტიკურ თემებზე, ამით მხოლოდ ერთი ვიღაც იხეირებს და ეს არ არის ჩვენს ინტერესებში. – განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი იმედოვნებს, რომ კონსენსუსი მიიღწევა არა ულტიმატუმებით, არამედ დიალოგით. სააკაშვილი სურვილს გამოთქვამს, რომ კიდევ ერთი შეხვედრა შედგეს მასსა და პრემიერ შორის.

– ყველაფერზე ვერ შევთანხმდებოდით, რადგან ჩვენი ხედვები განსხვავდება. არც ერთ მხარეს არ გვინდა გართულება, ამაზე ვთანხმდებით. პრაქტიკულად შეთანხმებული ვიყავით საკანონმდებლო საქმეებზე, მაგრამ არის რაღაცები, რაზეც უნდა გაგრძელდეს მუშაობა. ჯგუფებმა უნდა გააგრძელონ მუშაობა. მე ვარ მზად, ყველა მწვავე კრიტიკა მოვისმინო, ყველა არგუმენტი მოვისმინო, ოღონდ ნუ იქნება ჩხუბი, არეულობა. – განუცხადა ჟურნალისტებს სააკაშვილმა.

ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას წინსვლად არ მიიჩნევს.

– ვფიქრობ, რომ ეს შეხვედრა იყო შეხვედრისთვის. მე რამდენჯერმე შევახსენე სააკაშვილს, რომ მისი ინიციატივით შედგა ეს შეხვედრა და იქნებ ჩამოეყალიბებინა, თუ რისი თქმა სურდა. რამდენიმე შეხსენების შემდეგ მე თითით ვითვლიდი და სამამდე ავედი საბოლოო ჯამში. მისი პირველი თხოვნა იყო, რომ მედია უნდა გავათავისუფლო ყოველგვარი ზეწოლისაგან და თურმე უპრეცედენტო რამ ხდება საქართველოში მედიასთან დაკავშირებით. ამას ჩემი შენ გითხარიო ჰქვია, რასაც მე ღიმილით ვპასუხობდი. მეორე, მითხრა, რომ სასამართლო უნდა გავათავისუფლო ზეწოლისაგან, მესამე კარგად ვერ გავიგე. როგორც საბოლოო ჯამში ჩამოვყალიბდით, ხალხზე მასობრივ დევნას და ძალადობას უნდა მოეღოს ბოლო. აი, სამი საკითხი ჩამოყალიბდა. მე ვცდილობდი კონსტრუქციული ვყოფილიყავი და ვახსენებდი, რომ მისი თხოვნით მივედი ამ შეხვედრაზე. შევახსენე საინტერესო საკითხები, მაგალითად, ჩემი წერილი, რომელსაც ამდენ ხანს საჯაროდ პასუხი ვერ გასცა და პოზიცია არ ჩამოაყალიბა, – განაცხადა პრემიერმა.

ივანიშვილის თქმით, ზემოხსენებულ ღია წერილზე დასმული კითხვის საპასუხოდ პრეზიდენტმა მას ძალიან საინტერესო რამ უთხრა: თქვა, რომ საქართველო ჩვეულებრივი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა.

– შემდეგ მე დავუკონკრეტე: რას ნიშნავს ჩვეულებრივი, როცა პრეზიდენტს შეუძლია მთავრობა დანიშნოს პარლამენტთან შეთანხმების გარეშე. ამის შემდეგ მან თქვა, რომ რამდენიმე მაგალითს მომიყვანს, სადაც ასეთი კონსტიტუცია არსებობს, თუმცა ვერც ერთი მაგალითი ვერ მოიყვანა და შემპირდა, რომ მოიძიებს, საჯარო განცხადებას გააკეთებს და რამდენიმე ქვეყანას დაასახელებს, სადაც პრეზიდენტს მსგავსი უფლებები აქვს. – აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერს თქმით, მან პრეზიდენტს სთხოვა, რომ მან და მისმა გუნდმა ევროპასთან და ამერიკასთან მხოლოდ იმ საკითხებზე ლაპარაკს, რაც მათთვის არის მნიშვნელოვანი, თავი დაანებონ და ისაუბრონ ისეთ თემებზე, რაც საქართველოს ინტერესებში შედის. რაზეც სააკაშვილმა უთხრა, რომ ეს მისი აზრი იყო და სინამდვილეში მსგავსი არაფერი ხდებოდა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „მას აქვს განცდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები აუცილებლად გავა“.

– ჩემთვის რომ პოლიტიკური კარიერის გაგრძელებას ვაპირებდე და ვთქვათ, ჩემი მიზანი ეს იყოს, გაცილებით საინტერესო იქნებოდა, თუ ეს კანონპროექტი ჩავარდებოდა, მაგრამ მე ვარ ქვეყნის შვილი, მინდა, რომ საზოგადოება განვითარდეს და მათ რიცხვში, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ისევე არიან ჩვენი საზოგადოების წევრები, როგორც უმრავლესობა და მე მათ არ განვასხვავებ, რაც უფრო მეტი მოახერხებს და საზოგადოების ენაზე ისაუბრონ, საკუთარი პოზიცია საკუთარ შვილებსა და ოჯახს აუხსნან, ეს მით უფრო კარგი იქნება ჩვენთვის. ვფიქრობ, რომ დღეს „ნაციონალურ მოძრაობაში“ ძალიან ბევრი ნორმალური ადამიანია, რომელთაც ანალიზი და ქვეყნის პერსპექტივაზე ფიქრი შეუძლია. მე განცდა მაქვს, რომ ეს კანონპროექტი აუცილებლად გავა. თუ არ გავა და ამით საზოგადოება ნუ დაიძაბება, არაფერი მოხდება ამით, გარდა იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დიდი ნაწილი თავს შეირცხვენს. ასევე ვუთხარი სააკაშვილს, როდესაც გამოხვედი და განაცხადე, რომ 60 უნივერსიტეტი გაქვს დამთავრებული და ამით ტრაბახობდი, იმის ნაცვლად, რომ შენი პოზიცია დაგეფიქსირებინა. როცა ვერ გაიხსენა, რომელი ქვეყნის კონსტიტუციაში იყო მსგავსი რამ, იქვე ვუთხარი – ვერაფერსაც ვერ იზამთ, ეს გავა, თუ არა, მაგრამ როდესაც შენ იმაზე საუბრობ, რომ ამას გამოიყენებ, თუ არ გამოიყენებ, სად გაგიგია. რომელი ილია ჭავჭავაძე შენ ხარ, რომ ამაზე საუბრობ. როგორ შეიძლება საერთო კანონზე ასე საუბარი, გამოიყენებს თუ არა. კანონი უნდა იყოს ისეთი, რომ მისი გამოყენება ყველას შეეძლოს. ეს უნდა იყოს საზოგადოებისთვის მისაღები. კონსტიტუცია უნდა ჩავწეროთ, რომ სააკაშვილს აქვს უფლება, მაგრამ ამას არ გამოიყენებს. ესეც სასაცილო პოზიციაა. – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განცხადებით, „მისი და მისი გუნდის სურვილია, რომ პროკურატურას რაც შეიძლება, ნაკლები სამუშაო ჰქონდეს.“

– 1 ოქტომბერს უკვე ყველაფერი გამოვიდა. ქართველმა ხალხმა გადამწყვეტი სიტყვა თქვა და ამას ვერავის შეაბრუნებს. არავითარი ალბათობა და იმის შანსი არ არსებობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება დაბრუნდეს. მასაც ეს გავუმეორე. იმ ამბობს, რომ ამის სურვილი არ აქვს, თუმცა კარგი იქნებოდა, რომ ეს ქცევებში გამოეხატა. ჩემი სურვილია, რომ რაც შეიძლება სწრაფად ჩაცხრეს ეს ემოციური ფონი, რასაც ესენი მხოლოდ თავისი ქმედებით აძლიერებენ. ჩემი სურვილია, რომ რაც შეიძლება ცოტა იყოს კანონისა და სამართლის ენაზე საუბარი. ამისთვის საჭიროა ქცევების შეცვლა. მათ შეუძლიათ, თუ სურვილი აქვთ, რომ საკუთარი სახე შეინარჩუნონ, ისინი საზოგადოებას ვეღარ ავნებენ, გარდა ამ ემოციური ფონის აწევისა, მათ რესურსი არ აქვთ, ქუჩის პატარა აქციებისა და შეხლა-შემოხლის გამოწვევისაც კი. ჩვენი სურვილია, რომ პროკურატურას რაც შეიძლება ნაკლები სამუშაო ჰქონდეს და რაც შეიძლება სწრაფად მოახერხონ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, რომ საზოგადოების ღირსეული წევრნი გახდნენ. ეს არის ჩემი და ჩემი გუნდი გულწრფელი პოზიცია, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. მათ შეუძლიათ, რომ საკუთარი მდგომარეობა მხოლოდ გაიუმჯობესონ, ან გაიუარესონ. მოსახდენი 1 ოქტომბერს უკვე მოხდა, შემდეგ ოქტომბერს იქნება საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც ნაკლებპრინციპულია, საქართველოს მოსახლეობა საკუთარ არჩევანს გააკეთებს. – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ვანო მერაბიშვილმა იცის, რომ მის მიმართაც პროკურატურაში კითხვები არსებობს და 19 აპრილი მხოლოდ ამას მიუძღვნა.

– ერთხელ უკვე თქვი, საკუთარ გუნდთან განვაცხადე, რომ 19 აპრილს, ერთხელ უგულავას დასაცავად რომ გამოვიდნენ, იქ იყო 350 ადამიანი, უკეთეს შემთხვევაში, 19 აპრილამდე ნახევარს შეინარჩუნებენ. აი, ეს იქნება 19 აპრილი, თუ საერთოდ შედგა იგი. გასაგებია, რომ ეს ცარიელი ბაქი-ბუქია. მერაბიშვილს სათქმელი არ აქვს. მანაც იცის, რომ როგორც უგულავასთან დაკავშირებით, მის მიმართაც კითხვები არსებობს პროკურატურაში და 19 აპრილი მხოლოდ ამას მიუძღვნა. რეალობას საზოგადოებაში ყველანი ვგრძნობთ. ყველამ კარგად ვიცით, რომ რაც უგულავას დროს გამოიყენეს, 19 აპრილამდე ამ მუხტის ნახევარს შეინარჩუნებენ, რამეთუ საზოგადოება უფრო და უფრო კარგად ერკვევა და მათ რიცხვში, „ნაციონალური მოძრაობა“ კარგ ანალიზს აკეთებენ. გაუგებარი მუხტი არ შედგება, მუხტი უნდა იყოს ობიექტური და რეალური და არა ის ვირტუალური, რის დახატვასაც სააკაშვილი ცდილობს. დღეს საზოგადოებაში ხელისუფლების წინააღმდეგ მუხტი არ არსებობს, გარდა იმ ჯგუფისა, რომელიც საკუთარი სახის შენარჩუნებას ცდილობს. ჩვენც გვაქვს მცდელობა, რომ მათ სახე შეინარჩუნონ, ოღონდ ეს მათ ქცევებზე დამოკიდებული და არა ჩვენზე, რასაც მე მიმითითებენ, რომ მე თითქოს პროკურატურაში უნდა დავრეკო და შევაჩერო. ეს არ მოხდება. პროკურატურა ისე როგორც მთელი მთავრობა, ქართველი ხალხის ნებას შეასრულებს და არა პირიქით, ჩვენ ვართ დაქირავებული საზოგადოებისგან და ვემსახურებით მას. მათ უნდა მოარხერხონ, რომ საზოგადოებასთან ნორმალური კავშირი დაამყარონ. – განაცხადა ივანიშვილმა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ არხის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ამის შესახებ „პირველს“ სამეურვეო საბჭოს წევრმა ემზარ გოგუაძემ განუცხადა და დასძინა, რომ ბარათაშვილის ვადამდე ადრე გათავისუფლების მიზეზი საბჭოს მხრიდან მისი მისამართით გამოცხადებული უნდობლობა გახდა.

– საბჭოს 1/3 მოითხოვა ბარათაშვილის ვადამდე ადრე გათავისუფლება, რაც განპირობებულია უნდობლობით. ამ უნდობლობის გამოცხადების მიზეზი კი გახდა ბოლო პერიოდში არაჯასაღი კლიმატის შექმნა მაუწყებელში, ასევე დაძაბული ურთიერთობები, – განაცხადა გოგუაძემ.

მისივე თქმით, ბარათაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, საბჭო განცხადებას უახლოეს მომავალში გაავრცელებს.

რაც შეეხება არხის საინფორმაციო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის ხათუნა ბერძენიშვილის საკითხს, გოგუაძის თქმით, სამეურვეო საბჭომ მას უბრალოდ მოუსმინა, თუმცა მისი სამსახურში აღდგენა საბჭოს კომპეტენციაში არ შედის.

პირველი

ალეკო შალამბერიძე: „რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყოს“

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყანაში დიდი ჟრიამულია ატეხილი, ახალი ხელისუფლება საგარეო კურსის შეცვლას აპირებსო. ნაციონალების მტკიცებით, საქართველო დღე-დღეზე რუსეთის ნაწილი გახდება. ამ ბრალდებას მეოცნებეები სისულელეს უწოდებენ და ღამისაა თავადაც ნატოს ლოგოზე დაიფიცონ.

იცვლება თუ არა საქართველოს საგარეო კურსი, უნდა ველაპარაკოთ თუ არა რუსეთს, რას გვირჩევს დასავლეთი ამ თემებზე, „ახალი თაობა“ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალურ მდივანს ალეკო შალამბერიძეს ესაუბრება.

– ნაციონალები ითხოვდნენ, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს ქვეყნის საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ მუხლი. ასეთი რამის ჩაწერა კონსტიტუციაში ნორმალურია?

– როგორ შეიძლება ეს ნორმალური იყოს? მანახეთ ნორმალური ქვეყანა, რომლის კონსტიტუციაშიც ასეთი რამე წერია. ეს არის ნაციონალების მორიგი ახირება. ეს ხალხი ამდენი ხანი იყო პოლიტიკაში და ბოლომდე ვერ გააცნობიერეს, რას ნიშნავს კონსტიტუცია. იმდენი ცვლილება შეიტანეს ამ წლების განმავლობაში, რომ კონსტიტუცია ჯიბის ბლოკნოტი ჰგონია ზოგიერთს. მიკვირს, ის არ ჩაგვიწერეს, რომელ საფეხბურთო გუნდს უნდა უგულშემატკივროს საქართველომ. ასეთი ჩანაწერის გაკეთება არის დიდი სისულელე და იმედია, „ქართული ოცნება“ ამას არ დაუშვებს.

– და მაინც, რატომ ალაპარაკდნენ ნაციონალები საგარეო კურსის ცვლილებებზე? თქვენი აზრით, ასეთი რამე შეინიშნება?

– მე რასაც ვუყურებ, საგარეო კურსი არ იცვლება. უბრალოდ, ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო რუსეთთან საერთო ენის გამონახვა. რაც მისასალმებელია.

– რატომ არის მისასალმებელი?

– იმიტომ, რომ ჩვენს ტერიტორიულ პრობლემებს რუსეთთან დიალოგის გარეშე ვერ მოვაგვარებთ.

– დიალოგით მოვაგვარებთ?

– დიალოგს გააჩნია. დიალოგი იქნება ძალიან რთული, მაგრამ ის უნდა დაიწყოს. ამისკენ მოგვიწოდებს დასავლეთი. რუსეთთან საერთო ენის გამონახვისკენ ამერიკამაც არაერთხელ მოგვიწოდა.

– დიალოგს ადრეც ხომ ვაწარმოებდით რუსეთთან, რა შედეგი მივიღეთ?

– რა შედეგს ელოდით, როცა ქვეყნის პირველმა პირმა რუსეთის პრეზიდენტს ღილიპუტინი უწოდა?! რა შედეგს ელოდით, როცა თავდაცვის მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, რუსები ფეკალიებს სვამენო? ეს ყველაფერი ხდებოდა აგვისტოს ომამდე. მაშინ რუსეთთან მართლაც რომ გვეწარმოებინა დიალოგი, საქმე ომამდე არ მივიდოდა. რუსეთის გარდა, ნორმალური დიალოგი უნდა ვაწარმოოთ ევროპასთან. მარტო პრო-ამერიკულობის ძახილი არაფერს არ გვიშველის და არც ამერიკისთვის ერთგულების დაფიცებით გვეშველება რამე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთი და ამერიკა ჩვენი გულისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ძალიან ცდება. ამერიკას რუსეთი სჭირდება და სანამ ავღანეთის პრობლემა არ მოგვარდება, ამერიკა მოსკოვზე იქნება დამოკიდებული.

– თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთისკენ ავიღოთ გეზი.

– რუსეთისკენ გეზის აღებას და ევრაზიულ კავშირს არც არავინ ითხოვს. მოლაპარაკებები კი აუცილებელია. კიდევ გავიმეორებ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება რუსეთთან მოლაპარაკებებით შეგვიძლია. ეს იქნება რთული პროცესი, მაგრამ ის უნდა დაიწყოს, ამერიკაც და რუსეთიც ღიად გვეუბნებიან ამას.

– განცხადებებით გვეუბნებიან. სამაგიეროდ, შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ საქართველო პოლიტიკურ კურსს იცვლის.

– ვინ არის შეშფოთებული? შეშფოთებას ის ხალხი გამოხატავს, ვინც სააკაშვილთან არის კავშირში. მაშინ სად იყო ეს ხალხი, ევროპის ქვეყნებმა საქართველოსთვის მაპის მიცემაზე უარი რომ უთხრეს. ნაციონალები ამ ხალხის დახმარებით ცდილობენ საერთაშორისო განგაში ატეხონ. ვითომ ახალი ხელისუფლება რუსეთისკენ მიდის და მხოლოდ ისინი არიან პროამერიკულები. არადა, ეს ასე არ არის. „ქართული ოცნება“ ღიად აცხადებს, რომ ნატოსა და ევროკავშირში ხედავენ საქართველოს მომავალს.

– გოგი თოფაძე ასე არ ფიქრობს.

– გოგი სხვა გაქანების კაცია. ის საღად აფასებს მოვლენებს, მაგრამ მეეჭვება, ეგეც ბოლომდე ეწინააღმდეგებოდეს ნატოს.

– იმ დღეს უკითხავს, ნატოზე ჯვარი ხომ არ გვაქვს დაწერილიო.

– იხუმრა, ალბათ, თორემ ეგეც პროდასავლური პოლიტიკოსია. იმაში კი ვეთანხმები, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია. რუსეთს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან საშინელი ურთიერთობა ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთი და გერმანია ასეთი მეგობრები გახდებოდნენ, ჩვენც ხომ უნდა ვცადოთ.

– ჰო, მაგრამ ის გერმანიაა, ჩვენ კი - პატარა საქართველო.

– მით უმეტეს, უნდა დაველაპარაკოთ მოსკოვს. ჩვენთვის მთავარია დასავლეთთანაც და მეზობელ ქვეყნებთანაც ნორმალური ურთიერთობები გვქონდეს. ამ შემთხვევაში მარტო რუსეთს არ ვგულისხმობ. თურქეთთანაც მოსაგვარებელია ბევრი რამე.

– მაგალითად?

– ისტორიული ქართული ძეგლები და ტერიტორიები ჟამთა სიავის გამო თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ეს ძეგლები სავალალო დღეშია. მათი აღდგენა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია. ძალიან კარგია, რომ თურქეთი ამას დათანხმდა, მაგრამ ამის სანაცვლოდ პირობები არ უნდა წამოგვიყენოს. არ უნდა მოგვთხოვოს აჭარაში მეჩეთის აგება. მით უმეტეს, როცა ამის აუცილებლობა არ არის. ცნობილია, რომ დღეს აჭარაში 147 მეჩეთი და ორჯერ მეტია მედრესეა. მაშინ, როცა მართლმადიდებლური ეკლესიების რაოდენობა მხოლოდ 50-ს აღწევს. მუშაობა ყველა მიმართულებით უნდა წავიდეს. სააკაშვილმა თავისი გაუწონასწორებელი განცხადებებით თითქმის ყველა მეზობელთან პრობლემები შეგვიქმნა. ახალმა ხელისუფლებამ ეს პრობლემები სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს.

– დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, უნდა მიიღოს თუ არა საქართველომ სოჭის ოლიმპიადაზე მონაწილეობა. თქვენ რას ფიქრობთ?

– სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ. ქართველი ათლეტები აუცილებლად უნდა წავიდნენ ამ ოლიმპიადაზე. ეს საერთაშორისო სპორტული მოვლენაა. ნაციონალები ამ თემითაც მანიპულირებენ. ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ. ოლიმპიადაზეც წავიდეთ, რუსეთსაც დაველაპარაკოთ და ჩვენი პრობლემებიც მოვაგვაროთ. ეს არ იქნება მარტივი გასაკეთებელი, მაგრამ უნდა დავიწყოთ. ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ. დარწმუნებული ვარ, ამ მოლაპარაკებებს სხვა პოლიტიკური პარტიებიც დაუჭერენ ხმარს.

– დღეს ყველა ერიდება რუსეთზე დადებითის თქმას. გაბედავენ ღია მხარდაჭერას?

– უნდა გაბედონ. უკვე დროა ეროვნული ძალები გამოვიდნენ ასპარეზზე და ღიად დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია.

– ეროვნულ ძალებში ვის გულისხმობთ, ვისაც რუსეთთან დიალოგი სურს?

– იმ ძალებს ვგულისხმობ, ვისაც არც პრო-ამერიკული და არც პრორუსული პოზიცია არა აქვს. ქართული საქმის გაკეთება თუ გვინდა, პირველ რიგში პროქართულები უნდა ვიყოთ. ქართული საქმის გასაკეთებლად რუსეთსაც უნდა დაველაპარაკო და ევროპასაც.

გიორგი ონიანი: „ახალაიას სასამართლო პროცესზე პროკურატურა ზეწოლას ახორციელებს“

შორენა მარსაგიშვილი

ბაჩო ახალაიას სასამართლოები სულ უფრო საინტერესო ხდება. მისი მხარდამჭერები დარწმუნებული არიან, რომ ყოფილი მინისტრი მალე გამოვა საპატიმროდან. როდის დადგება ეს მალე არავინ იცის. მანამდე წინ საინტერესო პროცესები გველოდება.

გუშინ მისმა მხარდამჭერებმა 2 პრესკონფერენცია გამართეს. თეა თუთბერიძემ სკანდალური სქემა გააჟღერა. გიორგი ონიანმა კი კბილაშვილის უწყების სიმტარვალე დაგმო. ონიანის განცხადებით, შსს ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას სასამართლოზე 2 მარტს პროკურატურა ზეწოლას ახორციელებდა.

– ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე ჩვენ ამოვიცანით სპეცსამსდახურების წარმომადგენლები და ისინი იქ იყვნენ იმისთვის რომ პროკურატურის მეშვეობით უშუალო ზეწოლა განეხორციელებინათ სასამართლოზე. როდესაც ჩვენ დავინტერესდით თუ ვინ იყვნენ ეს ხალხი ისინი უბრალოდ ადგილიდან გაიქცნენ. ეს იყო აშკარა დარღვევა. გარდა ამისა პატრულის ფორმებში გამოყწობილი ადამიანები იყვნენ ე.წ. „პეპელას“ სპეცრაზმის წარმომადგენლები. იყო უპრეცენდენტო მობილიზება კუდისა და სოდის ყოფილი თანამშრომლების. ამ ზეწოლის ფონზე კი სასამართლომ გამოიტანა აბსურდული გადაწყვეტილება და პირველი რითაც სასამართლომ დაასაბუთა მისი გადაწყვეტილება ეს იყო მიმალვის შიში. რას ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ახალაია საქართველოში ჩამოვიდა იმისთვის რომ ყველა ბრალდებაზე გაეცა პასუხი, – განაცხადა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ონიანმა.

ონიანმა ციხის ბუნტთან დაკავშირებითაც გააკეთა განმარტებები. პროკურატურამ 1 მარტს გვამცნო, რომ ე.წ. ციხის ბუნტი გახსნილია. ეს განცხადება ერთი საათით ადრე გაკეთდა, სანამ სასამართლო პროცესი დაიწყებოდა. ონიანის განცხადებით ეს ბრალდება ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, რადგანაც ის კანონიერი ქურდების ჩვენებაზეა დამყარებული.

– თუ ჩვენი პროკურატურა დღეს იქამდე მივიდა რომ ფიქრობს ე.წ. კანონიერი ქურდები მოქმედებდნენ ახალაიას დავალებით, ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მე მინდა გითხრათ რომ მამარდაშვილის, ვიბლიანის, ცინდელიანის ჩვენებებით აქვს ახალაიას ბრალი წაყენებული. იმ კანონიერი ქურდების რომლებმაც განაჩენი გამოუტანეს ახალაიას. ფორმულირება კი იყო ასეთი, რომელი „მომავალიც“ შეძლებდა ახალაიას ლიკვიდაციას ის ავტომატურად გახდებოდა კანონიერი ქურდი. ამის შემდეგ როდესაც პროკურატურა შედის მესჯელობაში რომ ეს ადამიანები ახალას დავალებით მოქმედებდნენ სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს. აქედან გამომდინარე ბრძოლა იმის დასამტკიცებლად რომ ახალაიას გასაქცევად არ ჩამოსულა. შეუძლებელია. ამას სამართლებრივი გზით ვერ მოვახერხებთ თუ ეს ზეწოლა იქნება იმ სახით როგორიც ეს იყო ორ მარტს ეს შეუძლებელია, – აღნიშნა ონიანმა.

ციხის ბუნტს რაც შეეხება, ამასთან დაკავშირებით პროკურატურამ განცხადება 1 მარტს გაავრცელა. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ. დასკვნა თქვენ გაკეთეთ.

– გამოძიებით დადგენილია, რომ ბაჩანა ახალაიამ 2006 წლის გაზაფხულზე გადაწყვიტა გაექარწყლებინა მის მიერ ნასვამ მდგომარეობაში პატიმრების ცემის და დამცირების თაობაზე მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ხმები. ამ გაზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბაჩანა ახალაიამ და გ. დგებუაძემ შეიმუშავეს გეგმა, რომლითაც საზოგადოების თვალში გაქარწყლდებოდა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ხმები ახალაიას მიერ ნასვამ მდგომარეობაში პატიმრების ცემის და დამცირების შესახებ. ამ მიზნით ახალაია და დგებუაძე ახალაიას კაბინეტში შეხვდნენ კანონიერ ქურდს პ. მამარდაშვილს და მას გააცნეს გეგმა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო პ. მამარდაშვილს. გეგმის მიხედვით, პატიმრების გასეირნების დროს, მას შემდეგ, რაც პატიმრები დატოვებდნენ საცხოვრებელ ფლიგელს, ე.წ. „კანონიერი“ ქურდების პალატის წინ დაამონტაჟებდნენ ფარულ ვიდეო და აუდიო კამერას. ამის შემდეგ დაწესებულების დირექტორის განკარგულებით, აღნიშნულ დერეფანში ჩამოიყვანდნენ პატიმარ ზურაბ ვიბლიანს, რომელიც დაწესებულების კრიმინალურ წრეებში მოიაზრებოდა, როგორც დაწესებულების ე.წ. „მაყურებელი.“ პ. მამარდაშვილს, როგორც „კანონიერ ქურდს“ ფარული კამერის წინ ვიბლიანთან უნდა ესაუბრა დაწესებულებაში კრიმინალური ავტორიტეტებისათვის შექმნილ გაუსაძლის მდგომარეობაზე, რაშიც უნდა დაედანაშაულებინა ბაჩანა ახალაია. ამის შემდეგ კი ახალაიას ხელოვნურად დისკრედიტაციის მიზნით, უნდა დაევალებინა, ზ. ვიბლიანისათვის, რომ მას შეერჩია რომელიმე გახმაურებულ საქმეზე საზოგადოებისათვის ასე თუ ისე ცნობილი პატიმარი, რომელიც იმავდროულად იქნებოდა მათთვის სანდო კაცი. ზ. ვიბლიანს ამ პატიმრისთვის უნდა შეეთავაზებინა, რომ საკუთარ სხეულზე მიეყენებინა რაიმე სახის მსუბუქი დაზიანება, შემდგომ ეჩივლა უფლებადამცავ ნანა კაკაბაძესთან და ამ დაზიანების მიყენებაში დაედანაშაულებინა ბაჩანა ახალაია. ახალაიას გეგმით, პ. მამარდაშვილსა და ზ. ვიბლიანს შორის შემდგარი საუბარი ჩაიწერებოდა ფარული კამერით. მას შემდეგ, რაც ზ. ვიბლიანის მიერ შერჩეული პატიმარი მიიყენებდა დაზიანებას და იჩივლებდა ნ. კაკაბაძესთან, რომელიც თავის მხრივ, ამ ფაქტს პრესაში და ტელევიზიაში გააცხადებდა, ამ მომენტში ბაჩანა ახალაია გამოაქვეყნებდა პ. მამარდაშვილსა და ზ. ვიბლიანს შორის შემდგარი საუბრის ვიდეო და აუდიო ჩანაწერს, რითაც საზოგადოებას მოატყუებდა, რომ მასზე გავრცელებული ხმები პატიმრებთან არასათანადო მოპყრობის თაობაზე ინსცენირებულია კრიმინალური ავტორიტეტების მიერ.

ბაჩანა ახალაია პეტრე მამარდაშვილს დავალების შესრულების შემთხვევაში დაჰპირდა დახმარებას უზენაეს სასამართლოში, სადაც მას გასაჩივრებული ჰქონდა ქ. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები. პ. მამარდაშვილი იძულებული იყო დათანხმებოდა შეთავაზებულ წინადადებას. მართლაც, ახალაიას გეგმისამებრ შედგა მამარდაშვილის შეხვედრა ვიბლიანთან, თუმცა ვიბლიანმა არც კი მოუსმინა მამარდაშვილს, ისე გაეცალა.

გეგმის განხორციელების უზრუნველსაყოფად, ბ. ახალაიამ 2006 წლის 25 მარტს წერილით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურას. მან წერილში იცრუა, რომ თითქოს მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, 2006 წლის 25 მარტს სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული „კანონიერი ქურდების“ მიერ იგეგმებოდა არეულობის მოწყობა და პროკურატურისაგან მოითხოვა ნებართვა ფარულ ვიდეო და აუდიო ჩაწერაზე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2006 წლის 25 მარტს გამოიტანა დადგენილება ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერის გადაუდებელი გამოყენების შესახებ. იმავე დღეს სამკურნალო დაწესებულების ე.წ. „ქურდების ფლიგელის“ დერეფანში და კამერაში დამონტაჟდა ფარული კამერა.

ბ. ახალაიას მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, პატიმრების, მათ შორის პ. მამარდაშვილის პალატაში დაბრუნების შემდეგ დაწესებულების დირექტორის მ. სინაურიძის განკარგულებით პ. მამარდაშვილის საკანში შეიყვანეს პატიმარი ზურაბ ვიბლიანი, რომელმაც არ იცოდა მისი იქ მიყვანის მიზეზი, თუმცა მამარდაშვილმა ახალაიას დავალება არ შეასრულა და კამერის წინ არაფერი თქვა.

ფირის მოსმენის შემდეგ ბ. ახალაია დარწმუნდა, რომ პ. მამარდაშვილმა დავალება არ შეასრულა, გადაწყვიტა მისთვის და ზ. ვიბლიანისათვის ანგარიშის გასწორება. 2006 წლის 27 მარტს ღამის 01 საათზე იგი მეგის ქარდავასთან, რევაზ ჭარბაძესთან, მე-7 საპყრობილის დირექტორთან გიორგი ფოლადაშვილთან და სპეციალური დანიშნულების რაზმის რამდენიმე წევრთან ერთად მივიდა სამკურნალო დაწესებულებაში და მოითხოვა დირექტორის კაბინეტში დასჯის მიზნით მიეყვანათ მსჯავრდებულები პ. მამარდაშვილი და ზ. ვიბლიანი. მან ასევე მოითხოვა დირექტორის კაბინეტში ამავე დაწესებულების პატიმრების გიორგი ავალიანის და ლევან ცინდელიანის მიყვანაც, რომელთაც არავითარი საერთო არ ჰქონდათ პ. მამარდაშვილთან და ზ. ვიბლიანთან, თუმცა მათი გამოძახება ემსახურებოდა ახალიას განზრახვას, რომ შეეინღბა შეუსრულებელი დავალების გამო მამარდაშვილისა და ვიბლიანისათვის ანგარიშის გასწორების მიზანი.

დირექტორის კაბინეტში შეყვანილ პ. მამარდაშვილს ბ. ახალაიამ აჩვენა მის ხელთ არსებული ვიდეოფირი და უთხრა რომ დავალების შეუსრულებლობის გამო იგი უნდა დასჯილიყო. ამის შემდეგ მეგის ქარდავამ პ. მამარდაშვილს, მისი როგორც კრიმინალური ავტორიტეტის დამცირების მიზნით, სხვა პატიმრების თვალწინ დაუწყო თმების შეჭრა. შეჭრილ თმებს უწყობდა ჯიბეში. ამის შედეგ ახალაიამ პატიმრების გამოწვევის მიზნით რიგ-რიგობით ჰკითხა ზ. ვიბლიანსა და გ. ავალიანს თუ რა დღე, რა რიცხვი და რომელი წელი იყო, რაზედაც ავალიანმა მიუგო, რომ ეს თვითონ ახალაიამაც იცოდა. ამ პასუხზე ახალაიამ სახეში შეაფურთხა გ. ავალიანს. გ. ავალიანმა საპასუხოდ ახალაიას ხელი გაარტყა. ამის შემდეგ ბ. ახალაიამ, რ. ჭარბაძემ, მ. ქარდავამ და სპეცრაზმის თანამშრომლებმა დაუნდობლად სცემეს გ. ავალიანს, ზ. ვიბლიანსა და პ. მამარდაშვილს. პარალელურად ბ. ახალაიამ რაციის საშუალებით სამკურნალო დაწესებულებაში გამოიძახა საჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმი.

ნაცემი პატიმრები გაათრიეს სამკურნალო დაწესებულების პირველი სართულის დერეფანში, სადაც ასევე მიიყვანეს პატიმარი ლევან ცინდელიანიც. ამის შემდეგ ისინი გაიყვანეს დაწესებულების ეზოში, სადაც სხვა პატიმრების დასანახად სასტიკად სცემეს. ბოლოს დაწესებულების საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით გაიყვანეს საბადრაგო ავტომანქანის სადგომზე. იქ პატიმარ ზ. ცინდელიანს დაეწყო ეპილეფსიის შეტევა. დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ პირველადი დახმარების გაწევის შემდეგ ისინი ჩასვეს საბადრაგო ავტომანქანაში და გადაიყვანეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში. რამდენიმე ხანში იქვე გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმრები მ. ზედელაშვილი და ნ. მახარაძე.

ბაჩანა ახალაიას და ადმინისტრაციის სხვა ხელმძღვანელთა ამგვარ უკანონო ქმედებას დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების მხრიდან მოჰყვა აქტიური პროტესტი რაც ციხის ბუნტში გადაიზარდა. კერძოდ, იმავე ღამით პატიმართა მღელვარებას ადგილი ჰქონდა მეზობელ №5 და №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ავერსი-რაციონალი — მსოფლიო დონის ქართული ფარმაცევტული საწარმო

ფარმაცევტულმა საწარმო „ავერსი-რაციონალმა“ ჟურნალისტებისთვის მედიატური მოაწყო. საწარმოს ხელმძღვანელთა მიზანი იყო მედიის წარმომადგენლებს კარგად გაეცნოთ ქართული ფარმაცევტული წარმოება.

ტურმა საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა – „ავერსი-რაციონალის“ ტერიტორიაზე მეგზურობას კომპანიის გენერალური დირეტქორი მალხაზ კურტანიძე და ხარისხის კონტროლის დირექტორი ნათელა ქარუხნიშვილი გვიწევდნენ. განსაკუთრებით საინტერესო იყო ახალი ლაბორატორიის დათვალიერება, რომელიც რამდენიმე თვის წინ გაიხსნა.

„ავერსი-რაციონალი“ სადღეისოდ 143 დასახელების პროდუქციის 230 პოზიციას აწარმოებს, მათგან პირველი მედიკამენტი მომხმარებელს 2005 წელს შესთავაზა. ამ უმოკლეს ვადაში „ავერსი-რაციონალი“ საერთაშორისო სერთიფიკატების მფლობელია: 2006 წელს სტანდარტების საერთაშორისო სერთიფიკატი, რომელიც მოწმობს, რომ კომპანიის ხარისხის მენეჯმეტი მართვადია და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს; 2008 წელს კი, სტანდარტების საერთაშორისო სერთიფიკატი, რომელიც მოწმობს, რომ „ავერსი-რაციონალში“ მიმდინარე ყველა პროცესი (წარმოება, ხარისხის კონტროლი, ხარისხსის უზრუმველყოფა დასხვა) შეესაბამება ევროპული და ამერიკული სტანდარტების მოთხოვნებს.

დათვალიერებისას გამოჩნდა, რომ „ავერსი-რაციონალი“ აღჭურვილია ამერიკული, იტალიური, გერმანული, შვეიცარიული, იაპონური და სხვა უმაღლესი ხარისხის უახლესი მოდელის აპარატურით. დასაქმებულია 300-მდე ადამიანი, რომელთა საშუალო ანაზღაურება 800-დან 1.000 დოლარამდე მერყეობს. როგორც ირკვევა, თანამშრომელთა შერჩევა ჭირს, ამიტომ კომპანია თავად ზრუნავს მათ კვალიფიკაციაზე. არის შემთხვევები, როდესაც თავადვე აგზავნის ტრენინგებსა თუ სტაჟირებაზე, თუმცა უმეტეს შემთხვევაში სპეციალისტები ადგილზე ჩამოჰყავს და საკმაოდ დიდ ჯგუფებს ამზადებს. მათ სწავლა-განათლებაზე კომპანია წელიწადში 70-80 ათას დოლარამდე ხარჯავს.

ახალი ლაბორატორია 800 კვადრატულ მეტრზეა განლაგებული და ჩეხური პროექტით არის შექმნილი. მისი აშენება 2008 წელს დაიწყო და რამდენიმე თვის წინ დასრულდა. იქ ტარდება როგორც ფიზიკურ-ქიმიური, ასევე მიკრობიოლოგიური ანალიზები. ლაბორატორია აღჭურვილია უახლესი მოდელის აპარატურით, ხელსაწყოებითა და ინვენტარით. მოდელები საკმაოდ ძვირადღირებულია და მათი ფასი 130.000 დოლარსაც აღწევს. როგორც გაგვიმარტეს, 3-განზომილებიანი მოდელების საჭიროება, სუფთა ხარისხის მისაღებად და შედეგის უზრუნველსაყოფად არის საჭირო. ლაბორატორიაში დასაქმებულია 40-მდე თანამშრომელი, რომელთა შორის 6 მეცნიერებათა დოქტორია. იქ ჩატარებული ანალიზები, სანდოობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტია.

მთლიანად კომპანიაში მაქსიმალურ დონეზეა აყვანილი ქცევებისა და სისუფთავის დაცვის წესები. ამ მხრივ საწარმოში 4.000-მდე ინსტრუქცია არსებობს. ყველა თანამშრომელს, სამუშაოს დაწყების წინ უტარდება სამედიცინო შემოწმება.

კომპანიას ყოველ წელს უტარდება აუდიტორული შემოწმება, ხოლო ყოველ 3 წელიწადში ერთხელ – სერთიფიცირება.

ნათელა ქარუხნიშვილი:

–„ავერსი-რაციონალი“ 2002 წელს დაარსდა. ჩვენ უკვე მოპოვებული გვაქვს 2 სერთიფიკატი. კომაპნია ყოველწლიურად გადის აუდიტს, ხოლო ყოველ 3 წელიწადში – სერთიფიცირებას. ეს კი, საშუალებას გვაძლევს და გვავალდებულებს მუდმივ მზადყოფნას. კომპანიის ხედვაა ვიყოთ წარმატებულნი და ლიდერები ლიდერთა შორის.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხარისხის პოლიტიკა. საწარმო 140 დასახელების 230 პოზიციას აწარმოებს. პარტნიორები და მომწოდებლები მთელს მსოფლიოს მასშტაბით გვყავს. წარმოების საერთო ფართი 1.400 კვადრატული მეტრია. პირველი პროდუქცია კი, 2005 წელს გამოვუშვით და მას შემდეგ წლიდან წლამდე იმატებს. 2012 წელს გაიყიდა 6 მილიონამდე კოლოფი მზა პროდუქტი. გვაქვს ექსპორტი რამდენიმე ქვეყანასთან – უმეტესად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, თუმცა არეალის გაფართოებას ვაპირებთ. განსაკუთრებით ვმუშაობთ აზიურ და ჩრდილო-აფრიკულ ქვეყნებზე.

კომპანიას ამის შესაძლებლობა აქვს, რადგან აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და ბოლო მოდელების აპარატურით. გვაქვს 3 სისუფთავის კლასი და სამივე ზონაში ხდება ტემპერატურისა და ტენიანობის მუდმივი კონტროლი. მკაცრად არის გაწერილი წარმოების ქცევის წესები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხარისხის ასეთი კონტროლი ხარისხის უზრუმველყოფაა. მის გარდა აუცილებელია ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი. ჩვენ რეაქტივებს ვიღებთ ორი მოწინავე კომპანიიდან, რომელთაგან ერთი ამერიკაში, ხოლო მერე გერმანიაში მდებარეობს. სწორედ ამის დამსახურებაა, რომ უკვე მივიღეთ 2 სერთიფიკატი, რაც დამატებითი აღიარებაა.

ხარისხის უზრუნველყოფა მრავალმხრივია. ასევე მნიშვნელოვანია მომწოდებლის შერჩევა და ვთანამშრომლობთ მათთან, ვინც ხარისხიან პროდუქციას გვთავაზობს. მათ ჩვენ ვუტარებთ აუდიტს, ხდება დამადასტურებელი კვლევები და ამის შემდეგ ვიღებთ პროდუქციას.

საწარმოში მაღალკვალიფიციური პერსონალი მუშაობს, ლაბორატორიას 6 მეცნიერ თანამშრომელი ჰყავს, 11 მათგანმა გერმანიაში მიიღო აუდიტორული კვალიფიკაცია. აქტიურად ვიყენებთ გარე სწავლებას, ასევე ადგილზე ვიწვევთ ექსპერტებს და ამ დროს მეტი თანამშრომელი გადის კვალიფიცირებას. აქტიურად ვმუნაწილეობთ საერთაშორის კონფერენციებშიც.

გვაქვს გარკვეული შეზღუდვები – პერსონალი არ უნდა წარმოადგენდეს დაბინძურების სფეროს, ამიტომ ყოველი მათგანი სამუშაოს დაწყების წინ ჩვენი ექიმის მეშვეობით გადის სამედიცინო შემოწმებას. დასუფთავება და დეზინფექცია მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენს გვაქვს 4.000 დოკუმენტი. თითოეულ მათგანზე ხდება ისტორიის შენახვა, რის შედეგად ხდება მიზეზების გარკვევა. დოკუმენტში ნებისმიერი ცვლილების შეტანაა შესაძლებელი, თუმცა გამხილვის შემდეგ, რაც ავტომატურად არ ზღუდავს თანამშრომლის შემოქმედებას.

ასევე ვიყენებთ რისკების ანალიზს, ვატარებთ შიდა და გარე აუდიტს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებლისა და ექიმების გამოკითხვა. შესაბამისად ვიკვლევთ ხომ არ არის გადასახედი რომელიმე პროდუქცია. ყოველთვის ვფიქრობთ გაუმჯობესებაზე და საწარმოში მიმდინარეობს ერთიანი კომპიუტერული მართვის დანერგვა.

კომპანიის სამომავლო გეგმა კი ექსპორტისა და წარმადობის გაფართოებაა.

მედიატურის დასასრულს მასპიძლებმა სტუმრები „ალა ფურშეტზე“ მიიპატიჟეს, სადაც „ავერსი-რაციონალის სერთიფიცირებული ტორტი“ დაიჭრა.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ მსგავსი მედიატურები საჭიროც არის და მნიშვნელოვანიც, რათა საზოგადოება ზედმიწევნით გაეცნოს ქვეყანაში არსებულ საწარმოთა ხარისხიანობას და გარკვეული იქნას პროდუქციის ვარგისიანობაში.

პარტიები და ლიდერები

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

მრავალპარტიული საქართველოს უახლესი ისტორია რამდენიმე პარტიის შესახებ როცა იმსჯელებს, აუცილებლად ყურადღების ცენტრში მოექცევა რამდენიმე. არსებობს პარტიები, რომლებიც ჩანასახშივე აღმოიფხვრა, ზოგმა ტრანსფორმაცია განიცადა და შეერწყა სხვა პოლიტიკურ ძალებს.

ძალიან საყურადღებოა პოლიტიკური ძალა, რომელიც ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ სახელწოდებით გამოვიდა არენაზე. 1993 წელს გამსახურდიას პოლიტიკური ძალის დისკრედიტაციის შემდეგ სახელისუფლებო პარტიად ჩამოაყალიბა ედუარდ შევარდნაძემ და როგორც თავად აცხადებდნენ 32 ათასი წევრი ჰყავდა, მათ შორის 10 ათასამდე ქალი. 1995 წლამდე ,,მოქალაქეთა კავშირს“ ხელმძღვანელობდა ე. შევარდნაძე, შემდეგ კონსტიტუაციით აიკრძალა პრეზიდენტის მიერ რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების თანამდებობის დაკავება. შევარდნაძე მაინც მოიაზრებოდა ,,მოქკავშირის“ ძირითად სახედ, თუმცა ამ პარტიაში გავლენიანი ფიგურა იყო ზურაბ ჟვანია. ამის მიზეზი იყო ისიც, რომ ჟვანიას ,,მწვანეები“ ერთ-ერთი ძირითადი პარტია იყო, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ,,მოქკავშირი“.

2001 წელს დაიწყო ,,მოქკავშირის“ დაშლა. დავით გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე ,,ახალ მემარჯვენეებს“ ქმნიან, რომელიც მემარჯვენე ორიენტაციის გარდა თავდაპირველად ,,მოქკავშირის“ სატელიტადაც მოიხსენებოდა. მალე მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით შევარდნაძის პოლიტიკურიდან ჯგუფიდან გამოიყო რადიკალურ-რეფორმისტული ნაკადი. 2002 წელს ,,მოქკავშირი“ დატოვა ზურაბ ჟვანიას გუნდმაც (საინტერესოა, რომ ჟვანიას გუნდს ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ სახელი უნდოდათ საკუთარი პარტიისათვის და სასამართლოს გზითაც ვერ მოახერხეს).

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებმა და შემდეგ ,,ვარდების რევოლუციამ“ ,,მოქალაქეთა კავშირს“ დაახლოებით ათწლიანი არსებობა შეაწყვეტინა.

,,დემოკრატიული აღორძინების კავშირი“ 1992 წელს შეიქმნა ,,საქართველოს აღორძინების აჭარის კავშირის“ სახელწოდებით. დაარსების დღიდან დაშლამდე პარტიას ასლან აბაშიძე თავმჯდომარეობდა. 2004 წელს 12 წლიანი არსებობა ,,აღორძინებამ“ შეწყვიტა. ამის მიზეზი იყო ის, რომ 2003 წელს ,,ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პარტიის რეიტინგი სწრაფად დაეცა და თუ მანამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში დეპუტატების რაოდენობა 95% იყო და აჭარაში მმართველ პოლიტიკურ ძალად ითვლებოდა, ,,აჭარის ასლანისაგან გათავისუფლებას“ მთლიანად შეეწირა პარტიის არსებობა.

2002 წელს რესპუბლიკური პარტიისა და ,,კონსერვატორების“ ალიანსით ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პირველი პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვეს. ადილობრივ არჩევნებში სააკაშვილის ლიდერობით გამოსულმა ალიანსმა თბილისის საკრებულოს 24% დაიკავა. ,,ლეიბორისტული პარტიისა“ და ,,ნაციონალური მოძრაობის“ მიერ თბილისის საკრებულოში უმრავლესობით მოსვლამ განაპირობა ახალგაზრდა რეფორმატორის, მიხეილ სააკაშვილის, მნიშვნელოვან პოლიტიკურ პერსონად გადაქცევა. 2003 წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო სააკაშვილის, ბურჯანაძისა და ჟვანიას გუნდებმა უზრუნველყვეს ფართომასშტაბიანი აქციების მოწყობა, რაც კიდეც დასრულდა ,,ვარდების რევოლუციით“. როგორც პოლიტოლოგები ამბობენ, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნები იქნება ,,ნაციონალური მოძრაობის“ გაქრობის წინაპირობა, რადგან პარტიის ლიდერი მ. სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადა იწურება და კონსტიტუციურად ორჯერ მეტად ზედიზედ ერთი და იმავე პირის არჩევა არ შეიძლება.

ზემოთ აღნიშნული პარტიების სიცოცხლისუნარიანობა დაახლოებით 10-13 წლით განისაზღვრება და ძირითადად ემთხვევა მათი ლიდერების ზეობის პერიოდს.

ერთ-ერთი პარტია, რომელიც განსაკუთრებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რესპუბლიკურია. მემარჯვენე-ცენტრისტული რესპუბლიკური პარტია ყველაზე სტაბილურ პოლიტიკურ ძალად აღიქმება. როგორც ამბობენ, ,,რესპუბლიკელები“ ლიდერთა პარტიაა, რომელსაც კარგად გამოკვეთილი პოლიტიკური ხედვა აქვს. ,,რესპუბლიკელებს მოჰყავთ ახალი ხელისუფლება და ისინი ასამარებენ მას“, – უთქვამთ არაერთხელ.

თვალი გავადევნოთ ყველაზე მნიშვნელოვან თარიღებს ამ პარტიის არსებობის მანძილზე: 1978 წელს შეიქმნა, ამ პერიოდში არსებობდა დისიდენტური მოძრაობები, მაგრამ არ არსებობდა არცერთი პარტია, გარდა კომუნისტურისა. 1983-1984 წლებში დაარსებულ პარტიის დამფუძნებლები, მაგრამ დააპატიმრეს მხოლოდ ვახტანგ ძაბირაძე (პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე 1979-95 წ.წ.), ლევან და დავით ბერძენიშვილები და ვახტანგ შონია, მოგვიანებით კი– პარტიის კიდევ ერთი აქტიური წევრი ფრიდონ ჯაჯანიძე. ამ ადამიანების პრინციპულობამ ძალიან ბევრი თანაპარტიელი გადაარჩინა ციხეს. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს (სუკ-ს) ყურადღების მიღმა დარჩათ რეგიონებში მცხოვრები რესპუბლიკელები. თბილისის გარდა რესპუბლიკურ პარტიას ორგანიზაციები ჰქონდა ტყიბულში, ჭიათურაში, ზუგდიდში, სოხუმსა და ბათუმში. 1990 წელს საქართველოს უზენაეს საბჭოში სამი წევრით წარმოდგენილი რესპუბლიკური პარტია ფრაქცია ,,დემოკრატიულ ცენტრს“ წარმოადგენდა. 1991 წელს რესპუბლიკურმა პარტიამ ხმების 20% მიიღო უზენაესი საბჭოს არჩევნებში (აჭარაში). 1992 წელს საქართველოს პარლამენტში 10 კაციანი მანდატით შედიან, თუმცა შემდეგ 2004 წლამდე მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ აღწევენ, თუმცა 2006 წელს ,,რესპუბლიკელები“ ერთადერთი ოპოზიციური პარტია იყო, რომელსაც დეპუტატები ჰყავდა ქვეყნის სამივე დონის (სახელმწიფო, ავტონომიური და თვითმმართველობის) წარმომადგენლობით ორგანოებში. ამჟამად კოალიცია ,,ქართული ოცნების“ წევრი პოლიტიკური ძალა პარლამენტში ფრაქციის სახითაა წარმოდგენილი და კვლავ სტაბილური იმიჯით სარგებლობს.

რა არის რესპუბლიკური პარტიის 35 წლიანი არსებობის საიდუმლო? რესპუბლიკურ პარტიას აქვს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური პოზიცია, რომელსაც არ ღალატობს. რეგიონებში არსებული ორგანიზაციები და ინტელექტით გამორჩეული ლიდერები პარტიის გაფართოებას არ ცდილობენ რაოდენობის თვალსაზრისით. პოლიტიკური იდეის ერთგულება და სწორი პარტიული მენეჯმენტია ამ საიდუმლოს გასაღები.

ერთი კაცის პარტიად აღიარებენ ,,ლეიბორისტებს“, რომელსაც ცნობილი წევრების რაოდენობა ყოველთვის აკლდება. ,,ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარის პოსტიდან გამყრელიძის წასვლამ არ იმოქმედა პარტიის იმიჯზე დადებითად. ამბობენ, რომ კახა კუკავას და გიორგი თარგამაძის პარტიების არსებობა მათივე ლიდერებთან პირდაპირკავშირშია. ასევე გაურკვეველია რამდენიმე ათეული პარტიის მომავალიც, რომლებიც პარლამენტს მიღმა დატოვა ,,ქართულმა ოცნებამ“ და ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“.

მერაბ ტურავა: „სასამართლოს განაჩენები გადაისინჯება“

შორენა კოწოწაშვილი

ხელისუფლების ცვლილების პარალელურად საზოგადოება იმ დამნაშავე მაღალჩინოსნების დაპატიმრებას ითხოვს, რომლებიც სააკაშვილის ნაციონალური უმრავლესობის პირობებში არა მხოლოდ ფინანსურ და სისხლის სამართლებრივ დანაშაულობებში იყვნენ მხილებული, არამედ სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებშიც. ნაციელიტამ უნდა გაიგოს, რომ მაღალი პოლიტიკური

თანამდებობა არც ერთი ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულისთვის ინდულგენცია არ არის.

რა საფრთხე არსებობს გახმაურებული საქმეების სასამართლოში წარმართვის დაჩქარებისას და სახეზეა თუ არა გიგი უგულავას მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მერაბ ტურავასთან.

– ბატონო მერაბ, უნდა დააჩქაროს თუ არა პროკურატურამ გახმაურებული საქმეების სასამართლოში წარმართვა?

– მართალია, საზოგადოებას ეჩქარება, სამართალმა იზეიმოს, მაგრამ ვფიქრობ, არ უნდა ვიჩქაროთ სასამართლოში საქმის გადაგზავნა, რადგან სასამართლო ხელისუფლება არ არის მთლიანად გათავისუფლებული უმცირესობის წნეხისგან; იგივე პრეზიდენტის მხრიდან, რომელიც მათ აქეზებს გარკვეული უკანონო მოქმედებებისაკენ. პრეზიდენტმა ღიად მოუწოდა პოლიციელებს, არ დაემორჩილონ ხელისუფლებას. ამიტომ, ვფიქრობ, კოჰაბიტაციის დასრულების შემდეგ უფრო ეფექტური იქნება სასამართლოს განაჩენების გადასინჯვა. ეს ჩემი სუბიექტური აზრია. საქმეც ასე მიდის. ჯერ კანონპროექტი მუშავდება კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც მართლმსაჯულების ხარვეზებს დაადგენს. ამას რამდენიმე თვე დასჭირდება, ისევე, როგორც კონკრეტული საქმეების შესწავლას. ამასობაშიც დამთავრდება კოჰაბიტაციაც. კოჰაბიტაციის პროცესი ყველასთვის ძნელია, მათ შორის, სასამართლოსთვისაც, ამიტომ ამ პროცესის დასრულების შემდეგ უფრო ეფექტური იქნება სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა. არის მეორე საშიშროებაც: მოსამართლეები, რომლებიც ერთი წლის წინ ნებისმიერი წვრილმანის გამო აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობას უფარდებდნენ, დღეს ყველა შემთხვევაში აღმკვეთ ღონისძიებად გირაო გამოაქვთ ბაჩო ახალაიას შემთხვევის გარდა. რობაქიძის საქმემ გვაჩვენა, რომ პატიმრობის არშეფარდება ბევრ შემთხვევაში შეცდომაა.

– იგივე რობაქიძის საქმეზე საბოტაჟის ნიშნები იკვეთება?

– საბოტაჟის ნიშნებია და არა მათი პირდაპირი პოზიციების გამოხატვა. მართალია, იგივე დონაძე და სხვები საქართველოში არიან, საპროცესო კოდექსში წერია, რომ თუ არ არსებობს ეჭვი იმისა, რომ პირი მიიმალება, ამ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიება არ გამოიყენება, მაგრამ თუ ბრალდებულები, მოწმეები შეიკვრებიან და ხელს შეუშლიან ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, მტკიცებულებათა მოპოვების პროცესს იმიტომ, რომ გაანადგურებენ მტკიცებულებებს ან ზეგავლენას მოახდენენ მოწმეებზე, ან სხვა ბრალდებულებზე, ასეთ შემთხვევაში ბრალდებულები უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან დაშორებული და მათ არ უნდა ჰქონდეთ ერთმანეთში კომუნიკაცია. ხედავთ, როგორი ზარ-ზეიმით ჩამოვიდა გურამ დონაძე. მის მიმართ არ იქნა გამოყენებული აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა, ამის შემდეგ ის სხვა ბრალდებულებთან, მოწმეებთან ერთად დაჯდა და შექმნა რობაქიძის მკვლელობის საქმის თავისი ვერსია, რომ როდესაც წინა ხელისუფლების დროს უკვე აღარავინ უარყოფდა იმას, რომ რობაქიძე და მისი მეგობრები არ იყვნენ ყაჩაღები და მათ მიმართ საქმეში არსებული იარაღი იყო ჩადებული, გამოჩნდა დონაძე, მან ჩამოიტანა ვიდეო ჩანაწერი, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ობიექტური დამკვირვებლის თვალითაც არის ის წყვეტები და ხარვეზები, რომელიც მას ახასიათებს. ეს ექსპერტმაც დაადასტურა ეთერში. დონაძემ დააყენა საქმის ვერსია, რომ იარაღი, რომელიც კადრებში ჩანს, რობაქიძის მეგობრებს ჰქონდათ. ამასწინათ ტელევიზიით გამოდის ამ კადრების წარმომდგენი ფირცხალავა და აცხადებს: მე არ მითქვამს, რომ ეს კადრები არის ნამდვილი, რომ ის არ არის გაყალბებული და დამონტაჟებული, მე ჩანაწერი ვიღაცამ გადმომცა და პროკურატურას გადავეციო. ფირცხალავამ თვითონ დააყენა ეჭვქვეშ ჩანაწერის ობიექტურობა. შეეცადნენ, რომ გამოძიების არსებული ვერსია დაენგრიათ, რათა შემდგომში, როცა საქმე სასამართლოში წარიმართება, თქვან – ყველა ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის ანუ მათ სასარგებლოდ. არავინ არ უნდა იქნეს დაპატიმრებული, თუ ის ამას იმსახურებს. მართალია, პირი არ მიიმალება, საქართველოშია, მაგრამ მან შეიძლება ხელი შეუშალოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესს. ასეთ ვითარებაში ნებისმიერი მოსამართლე უნდა ღებულობდეს გონივრულ გადაწყვეტილებას და პროცესის ინტერესებიდან გამომდინარე, წინასწარ პატიმრობასაც უნდა იყენებდეს აღმკვეთ ღონისძიებად. მე, პირადად, ვერ ვიტყვი, რომ ერთი წლის წინ ყველა საქმეზე პატიმრობის შემფარდებელი მოსამართლეები, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ისეთი წესიერები გახდნენ, რომ არც ერთ საქმეზე აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა აღარ გამოაქვთ. ეს არის იმის შედეგი, რომ ე.წ. კოჰაბიტაციის პროცესი მოსამართლეებისათვის არის რთული.

– ნაციონალებს ამით უნდათ პროკურატურის სისუსტე აჩვენონ.

– კოტე კუბლაშვილმა განაცხადა: საპარლამენტო არჩევნებამდე პროკურატურა იყო ძლიერი, ადვოკატურა – სუსტი; ამ ორ-სამ თვეში ახალი პროკურორები მოვიდნენ, რომლებიც არიან სუსტები, სასამართლო პროცესზე თავის ცოდნას და გამოცდილებას ვერ ამჟღავნებენო. ბოლო წლების არაერთ სს საქმეს ვიცნობ და ვერავინ იტყვის, იმ საქმეებზე ბრალდებულებს პატიმრობა იმიტომ შეეფარდათ, რომ პროკურატურის პოზიცია იყო ძლიერი. პირიქით, ბრალდებას არავითარი პოზიცია არ ჰქონდა. მაშინ ეს მოსამართლეებში პროტესტს არ იწვევდა. დღეს ბევრი მოსამართლე ფიქრობს, რომ ის წინა ხელისუფლების ნაწილია, რომელსაც წლების მანძილზე ემსახურებოდა. ჰგონიათ, რომ იმ ხელისუფლების მოღვაწეობასთან ერთად, მათი საქმიანობაც დასრულდება. ამიტომ მზად არიან იმ ხელისუფლებას საფლავში ჩაყვნენ. მაგრამ დღეს სასამართლოში არიან ისეთი მოსამართლეებიც, რომლებსაც აქვთ პროფესიული ცოდნა-გამოცდილება და მუშაობას უპრობლემოდ გააგრძელებენ. აშკარაა, რომ პროკურატურის წნეხისგან გათავისუფლებული მოსამართლეები ოპოზიციაში უდგანან ახალ ხელისუფლებას და საპარლამენტო უმცირესობის სამსახურში არიან. ეს ხდება იმიტომ, რომ წინა ხელისუფლებას კავშირი სასამართლო ხელისუფლებასთან ისევ აქვს. სასამართლოს თავმჯდომარეები იუსტიციის საბჭოს მიერ არიან დანიშნული და მათ ნებასაც ასრულებენ. ამიტომ კოჰაბიტაციის პერიოდი რთულია. არსებობს პრობლემები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში. სასამართლო ხელისუფლება გამოვა იმ მდგომარეობიდან, როცა ხელისუფლების ინტერესებს გამოხატავს. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მონური ფსიქოლოგიით მორჩილად ასრულებდნენ ყველა დაკვეთას, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება ალბათ ძნელია.

– მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში მას პირდაპირ ჰკითხეს გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით. უნდა დაიკითხოს თუ არა გირგვლიანის საქმეზე სააკაშვილი იმ ცნობილი ჩანაწერიდან გამომდინარე, რომელიც გირგვლიანის საქმეში სტრასბურგის სასამართლომ ჩაწერა?

– მართლაც არის რამდენიმე სს საქმე, რომელზეც საზოგადოებამ რაც შეიძლება მალე უნდა ნახოს პროკურატურის და სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილება. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულად უნდა ვიჩქაროთ ამ მხრივ და საქმე გავაფუჭოთ, მაგრამ იგივე გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის საქმეზე, აგრეთვე 26 მაისის და 7 ნოემბრის საქმეზე, ასევე ციხის ბუნტთან დაკავშირებით, ასევე ციხეში მომხდარ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეებზე საზოგადოებამ რაც შეიძლება მალე უნდა ნახოს, რომ სამართალი აღსრულდეს. აგრეთვე ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით არის ბევრი კითხვა. მაგრამ ვინაიდან მე არ ვმონაწილეობ ამ კონკრეტული საქმეების გამოძიებაში და არ ვიცი, თვითონ მტკიცებულებათა ბაზა როგორი მყარია, ამიტომ ჩემთვის ძნელია იმის თქმა, თუ რატომ და რა დროს ანდომებს პროკურატურა გახმაურებული საქმეების გამოძიებას. ალბათ მათ აქვთ თავიანთი სტრატეგია და ტაქტიკა. ჩემი სუბიექტური აზრია: არ არის გამორიცხული, რომ პროკურატურა ფიქრობდეს, არ არის სასურველი ამ საქმეების დაჩქარება და რატომ – თუ განაჩენი იქნა სისრულეში მოყვანილი სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში, არ არის გამორიცხული, რომ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის შემთხვევაში სააკაშვილმა საპრეზიდენტო ვადა ისე დაასრულოს, რომ ეს პიროვნებები შეიწყალოს. ჩვენ გვაქვს კარგი გამოცდილება, რომ პრეზიდენტმა შეიწყალა არაერთი მძიმე დანაშაულში გასამართლებული პირი, მათ შორის გირგვლიანის საქმეზე გასამართლებულები. არ არის გამორიცხული, რომ ყველა ის საქმე, რომელიც წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა, მაღალი თანამდებობის პირთა ბრალეულობას ეხება, განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ეს პირები პრეზიდენტის მიერ იქნას შეწყალებული. თუ პრეზიდენტი ნებისმიერ მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პირს შეიწყალებს, მას ვერავითარ პასუხს ვერ მოსთხოვ. კონსტიტუციაში წერია, პრეზიდენტის უფლებაა და შეუძლია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი პირი შეიწყალოს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი პირები განაჩენის გამოტანის შემდეგ აღმოჩნდნენ შეწყალებულთა რიცხვში.

– ევროსასამართლოს გადაწყვეტილება გირგვლიანის საქმეზე იძლევა საფუძველს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი დაკითხოს?

– ბუნებრივია. ნებისმიერი პირი, რომელიც არის ამა თუ იმ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მატარებელი, შეიძლება დაკითხულ იქნეს პროკურატურის მიერ, მაგრამ ერთი პრობლემაა დაკითხვასთან დაკავშირებით: მოწმედ დაკითხვის შემთხვევაში არის რამდენიმე თანამდებობის პირი, რომელთა იძულებით მიყვანას დაკითხვაზე, საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს. ასეთია პარლამენტის წევრი და პრეზიდენტი.

ვინ სარგებლობს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სახელით?

მერი ნამორაძე

თვენახევრის წინ დაწყებულ აქციას „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“, რომელშიც აქტიურად ჩაებნენ საჯარო სამსახურები, „ცრუ გამგრძელებლები“ გამოუჩნდნენ. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი ორგანიზაცია ისე, რომ ონკოჰემატოლოგიის დეპარტამენტს არ აყენებდა საქმის კურსში, ბავშვების სახელით იბარებდა სისხლს, რომელიც ადრესატამდე არ მიდიოდა. გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკის წარმომადგენლებმა ჯერჯერობით თავი შეიკავეს ამ ორგანიზაციების დასახელებისგან. ამასთან, შეეცადნენ აეხსნათ, რატომ ვერ გამოდგება სხვა სისხლის ბანკების მიერ აღებული სისხლი ლეიკემიით დაავადებულთათვის.

საჯარო სამსახურებიდან პირველი ფინანსთა სამინისტრო იყო, რომელთანაც იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკმა მეგობრობის მემორანდუმი გააფორმა. სამინისტრომ ვალდებულება აიღო, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი დეპარტამენტების თანამშრომლებიდან, 50-70 ადამიანი ორ კვირაში ერთხელ გაიღებს სისხლს. იაშვილის კლინიკა ერთადერთია ქვეყნის მასშტაბით, სადაც ონკოჰემატოლოგიის დეპარტამენტია განთავსებული და ლეიკემიით დაავადებული ბავშვები მკურნალობენ. მკურნალობის პროცესი 9 თვის განმავლობაში გრძელდება და ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ სისხლი და სისხლის კომპონენტები.

როგორც იაშვილის კლინიკის ონკოჰემატოლოგიის კოორდინატორმა, იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკის სამედიცინო დირექტორმა, თამთა დემურიშვილმა აღნიშნა,

დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა იაშვილის კლინიკის ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სახელით ჩატარდა აქცია „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“, ოღონდ ეს მათთან შეუთანხმებლად მოხდა.

„– ბევრი სისხლის ბანკია საქართველოს მასშტაბით, რომლებიც დიდ საქმეს აკეთებენ. სისხლი საჭიროა არა მარტო ასეთი კატეგორიის, არამედ სხვა დაავადების მქონე ბავშვებისთვისაც, საჭიროა სხვადასხვა ქირურგიული მანიპულაციებისას, ორსულებისთვის და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუ სისხლის ბანკები შეძლებენ საკუთარი ძალებით გამართონ აქციები და ჩართონ მასში მოსახლეობა უანგარო დონაციის ფარგლებში, მაგრამ მინდა ვთხოვო ყველას, თუ სურვილი გაუჩნდებათ, ჩვენს ბავშვებს დაეხმარონ და ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის გაიღონ სისხლი, ჩვენთან იქონიონ კონტაქტი“, – აღნიშნა დემურიშვილმა.

ონკოჰემატოლოგიის დეპარტამენტი კიდევ რამდენიმე საჯარო უწყებას მიმართავს და მოუწოდებს სისხლის ჩაბარებისკენ. ეს არის თავდაცვის სამინისტრო, რომელიც კვირის ბოლოდან ჩაერთვება უანგარო დონაციის აქციაში. დემურიშვილმა ასევე თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, ჩაერთოს შსს ამ აქციაში:

– ძალიან მნიშვნელოვანი იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართვა, იმდენად, რამდენადაც ძალიან დიდი სამსახურია და ჯანმრთელი კონტინგენტია, შესაბამისად, მათი დახმარება უანგარო დონაციაში ჩვენთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. ჩართულია საქართველოს პარლამენტიც. უშუალოდ ანი მიროტაძესთან მაქვს კავშირი და თანხმობაა მიღებული, 150 ადამიანი მზად არის, რომ ჩვენ ქუთაისში ადგილზე გავიდეთ და სისხლი ჩავიბაროთ პარლამენტისგან. ძალიან ვთხოვ ყველას, ნუ გამოიყენებენ ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სახელს. რამდენიმე დღის წინ კიდევ ჩატარდა კონცერტი–აქცია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ძალიან ცნობილ მომღერლებს. ვეცადე ორგანიზატორებთან მქონოდა კონტაქტი. მათ მითხრეს, რომ შეეცდებიან მომაწოდონ ინფორმაცია, რას აკეთებენ და რომელი საჭიროებისთვის ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის, მაგრამ ისინი არ დამკავშირებიან. კონცერტი ჩატარდა, მაგრამ იმ პროგრამით არა, რაც მათ ჰქონდათ გათვალისწინებული, მომღერლებმა არ მოიწადინეს, რაღაცნაირად არაორგანიზებული იყო“.

ჩვენს შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან, კონკრეტულად რომელი ორგანიზაცია მართავდა აქციას, დემურიშვილმა თავი შეიკავა და კიდევ ერთხელ სთხოვა ყველას, თავი შეიკავონ ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სახელის გამოყენებისგან.

გაურკვევლობა გამოიწვია ერთ-ერთმა ანალოგიურმა აქციამ, სადაც ითქვა, რომ დონორების სისხლის 6 პაკეტი წამოვიდა იაშვილის კლინიკაში, მაგრამ იმ საღამოს სისხლი არ მისულა კლინიკაში, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ უშუალოდ მშობლებს გადაეცათ. იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკი არ ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში სისხლი ბანკში მივიდა და დეპარტამენტში გაიცა. განიმარტა, რომ რეგიონებიდან სხვის მიერ გამოგზავნილ სისხლს იაშვილის სისხლის ბანკი ვერ მიიღებს, რადგან უცნობია, როგორ მოხდა მისი ტრანსპორტირება, განთავსდა თუ არა სამჩანთიან პაკეტში, რომლის მარაგი მხოლოდ იაშვილის კლინიკაში მზადდება და ინახება. თრომბოციტალურ მასებს სხვა კლინიკებიც იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკში ინახავენ. თუ სისხლი არ არის აღებული სამჩანთიან პაკეტში, ვერ მოხერხდება თრომბოციტების მომზადება გადასასხმელად. ასეთი სისხლი მოხმარდება ორსულებს ან ტრავმების მქონე პაციენტებს და არა ლეიკემიით დაავადებულებს.

იყო შემთხვევები ყუთების დადგმისა თანხის შეგროვების მიზნით დიდ მარკეტებში. მარკეტებს დაუკავშირდა იაშვილის კლინიკა და ჩააყენა საქმის კურსში, რომ ეს არ იყო ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის განკუთვნილი და მათთან კავშირი არ ჰქონდა. დემურიშვილი აცხადებს, რომ შეიძლება რომელიმე დაწესებულებას დახმარების სურვილი ჰქონდეს, მაგრამ მიმართვა უნდა მოხდეს მხოლოდ იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკთან, რადგან სისხლის გადასხმის სპეციალური აპარატები, რომელიც დაავადებულ ბავშვებს სჭირდებათ, მხოლოდ ამ კლინიკას გააჩნია.

– ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ლეიკემიით დაავადებული ბავშვების საჭიროებებისთვის სისხლის აღება ხდება უშუალოდ იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკში. ჩვენ გვაქვს იმის რესურსი, რომ თვითონ მოვერიოთ ამ ყველაფერს. თუ იქნება შემთხვევა, რომ არ გვექნება საშუალება, თვითონ მივმართავთ ხოლმე სისხლის ბანკებს თხოვნით. არიან მშობლები, რომლებსაც ახლობლები მოჰყავთ კონკრეტული შემთხვევისთვის. თუ ჩაერთვებიან საჯარო სამსახურები, მაშინ სისხლის დეფიციტი არ გვექნება. თვის განმავლობაში 400-მდე დონორი გვჭირდება, რომ დეფიციტი აბსოლუტურად აღმოიფხვრას, – განაცხადა დემურიშვილმა.

საქართველოში ყოველწლიურად ლეიკემიით ბავშვების დაავადების 40-50 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ზოგჯერ სეზონურად უფრო მეტი სისხლი შეიძლება გახდეს საჭირო. როგორც სისხლის ბანკის ექიმ-ტრანსფუზიოლოგმა ე. ქავთარაძემ განმარტა, იაშვილის კლინიკაში ყოველთვიურად დაახლოებით სისხლის კომპონენტების 400 ტრანსფუზია ტარდება. რადგან ძირითადად პირველადი დონორები მიდიან, სისხლის ჯგუფის განსაზღვრის თვალსაზრისით, ვერ ხერხდება ყოველთვის ბავშვის სისხლის ჯგუფთან თანხვედრა. აქედან გამომდინარე, ჩაბარებული სისხლი დიდი რაოდენობით ხდება საჭირო, რადგან არის ტრანსფუზიები. გარდა ამისა, ხშირად პირველი დონორი ვერ აბარებს სისხლს 400 მილილიტრის რაოდენობით, რის გამოც თრომბოციტული მასა ვერ მზადდება.

– ძირითადად ვიყენებთ თრომბოციტალურ მასებს ონკოჰემატოლოგიის ბავშვებთან, რომლის ვადა 72 საათია. ამიტომ უანგარო დონაციის აქციები უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება ხშირად, კვირაში ერთხელ, რომელიმე დაწესებულებაში, რადგან დამზადებული მასა მხოლოდ სამი დღის განმავლობაში ყოფნის. სისხლის ბანკი, რა თქმა უნდა, ზოგჯერ ზარალდება, რადგან დიდი რაოდენობით ხდება სისხლის ჩამოწერა, მაგრამ ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად ეს აქციები ტარდება და მადლობლები ვიქნებით, თუ დაგვეხმარებით სისხლის მარაგის შექმნაში, – გვითხრა ქავთარაძემ.

როგორც აღინიშნა, იაშვილის კლინიკიდან არა მხოლოდ ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის ხდება დამზადებული პროდუქტის გაცემა, არამედ უფასოდ გაიცემა სხვა პათოლოგიის მქონე ბავშვებზე, ორსულებზე, მშობიარეებზე, სხვა მოზრდილებზე. იმ შემთხვევაში, როცა არ არის თრომბოციტების საჭირო მასა ბანკში და არ არის დონორი, სხვა სადგურებში ყიდულობს ამას იაშვილის სისხლის ბანკი.

თბილისელები შეიძლება ისევ მიკროავტობუსების გარეშე დარჩნენ

მერი ნამორაძე

თბილისელები შეიძლება ისევ ტრანსპორტის რიგებში და ტაქსების ძებნაში აღმოჩნდნენ. რატომ? იმიტომ, რომ მიკროავტობუსის მძღოლები ისევ გაფიცვებისთვის ემზადებიან. რატომ? იმიტომ, რომ „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები ფარსი ყოფილა. როგორც მიკროავტობუსების მძღოლების საინიციატივო ჯგუფი აცხადებს, ამ ეტაპზე კომპანიასთან შეთანხმება არც ერთ საკითხზე მიღწეული არ არის, გარდა იმისა, რომ გათავისუფლებული მძღოლები დააბრუნეს სამუშაო ადგილებზე. ლამის ერთკვირიანი გაფიცვა და მთელი ქალაქის პარალიზება თუ მხოლოდ რამდენიმე მძღოლის სამსახურში აღდგენით დასრულდებოდა, არავინ ელოდა. მოქალაქეებს იმედი ჰქონდათ, რომ მგზავრობა

გაიაფდებოდა, მძღოლებს იმედი ჰქონდათ, რომ გადასახადები შეუმცირდებოდათ და ინდმეწარმის სტატუსი გაუუქმდებოდათ, მაგრამ ჯერჯერობით პირში ჩალაგამოვლებული რჩება როგორც გაიაფების მოსურნე, ისე სამუშაო პირობების გაუმჯობესების მომლოდინე.

მიკროავტობუსების საინიციატივო ჯგუფის წევრმა გოჩა მიქაძემ „ნიუს-ჯი“-ს განუცხადა, რომ „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელობამ სამუშაო ადგილებზე აღადგინა №61 და 111 სამარშრუტო ხაზების რამდენიმე მძღოლი და ეს არის ერთადერთი შეთანხმება, რომელიც ამ პერიოდში შედგა. მისივე თქმით, კომპანიასთან მოლაპარაკებები ამ დრომდე გრძელდება. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსთან“ შეთანხმებას ვერ მიაღწევს, თბილისის მიკროავტობუსების მძღოლები გაფიცვას არ გამორიცხავენ.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მიკროავტობუსების მძღოლები ინდმეწარმის სტატუსის გაუქმებას, ყოველდღიური გადასახადის შემცირებას, სამგზავრო ტარიფის 80-დან 50 თეთრამდე გაიაფებას და მათთვის სასურველ ადგილზე ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებას მოითხოვდნენ. მიკროავტობუსების მძღოლების გაფიცვა თბილისში მას შემდეგ დასრულდა, რაც კომპანია „თბილისის მიკროავტობუსსა“ და მძღოლებს შორის შეთანხმება შედგა, რომ საინიციატივო ჯგუფსა და კომპანიის წარმომადგენლების შეხვედრები რეგულარულად გაიმართებოდა და პრობლემების გადაჭრაზე ერთად იზრუნებდნენ.

როგორც ჩანს, მძღოლების მიერ წაყენებული პირობები მაინცდამაინც მიმზიდველი არ არის „თბილისის მიკროავტობუსის“ შეფებისთვის. მოსახლეობა კი სასოებით ელოდება კიდევ ერთ სოციალურ შეღავათს – ტრანსპორტის გაიაფებას, რომლის ხარჯი გვარიანად ათხელებს უბრალო მოკვდავთა ჯიბეს.

რა თანამდებობრივი დანაშაული ჩაიდინა კოტე კუბლაშვილმა?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– უზენაეს სასამართლოში გამართულ ბრიფინგზე ითქვა, რომ თქვენ ცრუ ინფორმაცია გაავრცელეთ ალავიძესთან მიმართებაში.

– ეს ინფორმაცია მეც მოვისმინე, თითქოს მე გამოძიებას ის დოკუმენტები წარვუდგინე, რომელიც არ ეხება მოსამართლე ალავიძეს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებიდან ისე გამოიკვეთა, რომ თითქოს მე მტკიცებულებათა ფალსიფიცირება მოვახდინე. უზენაესმა სასამართლომ ამ ბრიფინგით პროკურატურას მოსთხოვა, ჩემ მიმართ კანონით დადგენილი ღონისძიებები გაატაროს. მე პროკურატურაში საჩივარი შევიტანე და ვითხოვე, გამოეძიათ, რატომ და როგორ მოხდა, რომ არაუფლებამოსილი პირი დაინიშნა მოსამართლედ, კონსტიტუციის დარღვევით. საჩივარი 12 თებერვალს შევიტანე და პროკურატურამაც აქტიურად დაიწყო ამ საქმის გამოძიება. უზენაესმა სასამართლომ ასეთი არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. ფაქტია, რომ მტკიცებულებათა ფალსიფიცირებას თვითონ კოტე კუბლაშვილი ეწევა.

– ანუ ბატონო ალეკო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ცრუობს საჯაროდ?

– ცრუობს, ეს აშკარაა. მოქალაქე მაისურაძე, რომლის დოკუმენტაციაც პროკურატურაში წარვადგინე, უჩიოდა მოსამართლე ალავიძეს და არა სხვას. სწორედ მაისურაძემ აიღო ოფიციალური წერილები უნივერსიტეტიდან, რომ ალავიძეს არ ჰქონდა იურისტის კვალიფიკაცია. ეს დოკუმენტები მე ჩამივარდა ხელში. კუბლაშვილი ცრუობს და ამბობს, რომ ეს დოკუმენტი არ ეხება მოსამართლე ალავიძესო. არ მეგონა, თუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასეთ სიცრუეზე წავიდოდა. კუბლაშვილი ფაქტების ფალსიფიცირებას ახდენს და მას ამაზე პასუხი უნდა მოეთხოვოს. მე ასე ვსვამ საკითხს: მე ახლა ოფიციალური წერილით მივმართავ პროკურატურას, რომელიც ალავიძის საქმეს იძიებს. თუ ის, რასაც მე ვასაბუთებ სიცრუეა, ოფიციალურად მიმცენ პასუხისგებაში და ჩემ მიმართ დევნა დაიწყონ, თუ არადა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გადადგეს და პასუხისგებაში სწორედ კუბლაშვილი მისცენ. კი ბატონო, მე თანახმა ვარ, პასუხი ვაგო, თუ ალავიძეს ცრუ ბრალდებას ვუყენებ.

– გამოდის, მოსამართლეების კვალიფიკაცია სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა?

– რა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში ამ ორ მოსამართლეს უფლება არ აქვს, იყვნენ მოსამართლეები. ყველამ ვიცით, ამ 9 წლის მანძილზე როგორი სასამართლო იყო საქართველოში. რეალურად სასამართლო არ არსებობდა. კუბლაშვილი კი გამოდიოდა და ამბობდა, სასამართლოს 68% ენდობაო. საიდან დაადგინა ნდობის ეს ხარისხი, არ ვიცი, ეტყობა, თავისი ოჯახის წევრები გამოკითხა. სასამართლო იყო პროკურატურის დანამატი, ჩვენდა საუბედუროდ. გამომძიებლები იცინოდნენ: ცარიელ ფურცელზე დაწერილი სახელი და გვარი რომ შევიტანოთ სასამართლოში, იმასაც დაგვიკმაყოფილებენ და პატიმრობას მიუსჯიანო. კუბლაშვილმა სასამართლო დაასამარა. ახლა ნელ-ნელა ტენდენცია იცვლება. ზოგიერთი მოსამართლე აზრზე მოვიდა და შედარებით ნორმალური გადაწყვეტილებები გამოდის. მაგრამ არიან ისეთი მოსამართლეებიც, რომლებიც კუბლაშვილს ბოლომდე მიჰყვებიან, სად – არ ვიცი.

– ფაქტია, კუბლაშვილი ბოლომდე იცავს მოსამართლეებს და აცხადებს: არ შეიძლება მოქმედი მოსამართლეები პროკურატურამ დაკითხვაზე დაიბაროს მათ მიერ გამოტანილი განაჩენების გამოო.

– კარგია, ამ თემას რომ შეეხეთ. მართალია, კუბლაშვილი ამბობს, რომ არ უნდა დაიბარონ მოსამართლეები პროკურატურაში მათ მიერ გამოტანილი განაჩენების გამო, მაგრამ პირადად კუბლაშვილმა ორი მოსამართლის მიმართ დაარღვია კონსტიტუციის 87-ე მუხლი. ამ ორმა მოსამართლემ სხვადასხვა დროს გამოიტანა განაჩენი და პირობით მსჯავრდებულს კვლავ პირობითი მსჯავრი შეუფარდა. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებამდე, კოტე კუბლაშვილმა, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, გასცა თანხმობა მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე. დაცვადა, რა გადაწყვეტილება იქნებოდა ზემდგომ სასამართლოებში. ეს ორო მოსამართლე მისცეს პასუხისგებაში. ერთი დამთავრდა საპროცესო შეთანხმებით, მეორეს ჯერ თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს, შემდეგ უზენაესმა სასამართლომ ჯარიმით შეუცვალა სასჯელი. და რატომ შეუცვალა: იმ პერიოდში კანონი იყო, რომ პირობით მსჯავრზე, პირობითი არ უნდა მიესაჯათ. ხედავთ, რომ ორმაგი სტანდარტია, არ შეიძლება მოსამართლის პროკურატურაში დაბარებაო და თვითონ კუბლაშვილმა რა გააკეთა. ყველაზე კარგ რაღაცას გეტყვით: მაშინ, როდესაც ეს საკითხი იდგა და ასეთი დავალება გასცა მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე, ბრალის წარდგენა უზენაესი თავმჯდომარის თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა. მაშინ, ამ პერიოდში ზუსტად, უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც კუბლაშვილი ხელმძღვანელობდა, იგივე განაჩენი გამოიტანა ერთ-ერთი მსჯავრდებულის მიმართ. ისმის საკითხი: რატომ არ აღიძრა მაშინ სისხლის სამართლებრივი დევნა იმ მოსამართლეების მიმართ?! ეს მაშინ ხდებოდა, სანამ კანონი შეიცვლებოდა და ისეთი ჩანაწერი გაჩნდებოდა კანონში, როგორც დღეს არის და პირობითზე პირობითი სასჯელის შეფარდება დაიშვებოდა. მოვითხოვ, გამოძიებამ ეს საკითხიც შეისწავლოს. ვნახოთ, კუბლაშვილის სახე რა არის.

როგორი ურთიერთობა სურთ ქართველ ხელოვანებს რუსეთთან?

ეკა ირემაშვილი

სასტუმრო „ვეჩე პალასში" ჩუსეულ-ქართული უთანიერთობების შესახებ პირველი საზოგადოებრივი დისკუსია გაიმართა, რომლის ორგანიზატორიც ევრაზიის ინსტიტუტი იყო. გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ მსახიობები დიმა ჯაიანი, ბაადუერ წულაძე, გია ბუჩუანაძე, გოგი ხარაბაძე, ალმპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი, მომღერები ნუგზარ ჟვამალი, ვახტანგ ტატიშვილი, მაია ჯაბუა, ირმა სოხაძე, „ფორტე", მათი ხელმძღვანელი ნუცა ჯანელიძე, ხელოვანთა ალვშირის ხელმძღვანელი დავით ოქიტაშვილი, მეცნიერი ჯუმბერ ღომინაძე და საზოგადოებისთვის ცნობილ ნაცნობი სახეები.

პირველ შეხვედრაზე მისულმა ხელოვანებმა განიხილეს რუსეთთან ურთიერთობის საკითხში მთავრობის პოზიცია და ისაუბრეს უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღვაწლის მნიშვნელობაზე ორი ქვეყნის ურთიერთობის აღდგენის საკითხში.

როგორც შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, ძალიან მნიშვნელოვანია ორ ქვეყანას შორის კულტურული თანამშრომლობა და ამ მიმართულებით აქტიური ნაბიჯები უახლოეს მომავალში უნდა გადაიდგას. შეკრებილთა უმეტესობას მიაჩნია, რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა პირველ რიგში კულტურული ურთიერთობების გაღრმავებით უნდა დაიწყოს, რადგან რუსეთში ძალიან აფასებენ ქართულ კულტურას. დისკუსიის დასასრულს შეხვედრის მონაწილეებმა რუსეთთან ურთიერთობის თემაზე მათ მიერ შემუშავებულ რეზოლუციას მოაწერეს ხელი და ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბიც დააფუძნეს. შეხვედრაზე 7 პუნქტიანი დოკუმენტი წარმოადგინეს, რომელიც გასაცნობად და ხელის მოსაწერად შეხვედრის მონაწილეებს დაურიგდათ. ამ დოკუმენტში წერია:

„შეხვედრის მონაწილეები მიესალმებიან რუსეთის უმაღლესი ხელისუფალის, ვლადიმერ პუტინის მიერ 2012 წლის 20 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებას, რომ რუსეთის ფედერაცია, პოლიტიკური წინაპირობების გარეშე, გზას გაუხსნის ქართული წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტებს რუსულ ბაზარზე. ასევე მონაწილეები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის 2013 წლის იანვრის მოსკოვურ ვიზიტსა და ამ ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებს რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს მესვეურებთან".

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომის, ამ თემასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია:

„2008 წლის აგვისტოს ომის შეფასებაში მთლიანად მხარს ვუჭერთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის პოზიციას: ომი არც რუსეთს და არც საქართველოს არ დაუწყია, ომის დაწყება ცალკეული პოლიტიკოსების ნებამ განაპირობა. აგვისტოს ომი უდიდესი ტრაგედიაა როგორც ქართველებისა და ოსების ურთიერთობაში, ისე ქართველებისა და რუსეთის ურთიერთობაში. ამ ტრაგედიამ უფრო უნდა დაგვაახლოვოს ერთმანეთს, რათა მისი მსგავსი მოვლენა მომავალში გამოირიცხოს".

ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა გულბაათ რცხილაძემ განაცხადა:

– ასეთი შეხვედრა ერთჯერადი არ იქნება. ჩვენ მოსკოვშიც უნდა გავაკეთოთ ასეთი შეხვედრები და დაგეგმილი გვაქვს, მოსკოვიდან ჩამოვიყვანოთ ცნობილი ინტელიგენციის წარმომადგენლები და შეხვედრები გავმართოთ მათთან. ევრაზიის ინსტიტუტის მხარდაჭერით ეს არის პირველი საზოგადოებრივი დისკუსია რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ და ჩვენ გვაინტერესებს, რა ფასეულობებს ესწრაფვის ქართული საზოგადოება და ამ ფონზე როგორი უნდა იყოს ორმხრივი ურთიერთობები? რა შინაარსს ვდებთ ცნებაში „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა"? რას ველით რუსეთისაგან, რის დათმობას და არდათმობას ვაპირებთ მასთან დიალოგის პროცესში? – ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცადეთ ყველანი ერთად – ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, საზოგადოების ყველა დაინტერესებული წევრი, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეფასება მიეცა საქართველოს მთავრობის მეთაურის ბიძინა ივანიშვილის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, აგრეთვე მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ღვაწლს, რუს ერთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში. დისკუსიის დასრულებისას შესაბამის რეზოლუციას მოეწერა ხელი. ამის პარალელურად, დაფუძნდა ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი. ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, ევრაზიის ინსტიტუტის მხარდაჭერით გამოვხატავთ ჩვენს ზოგად შეხედულებებს ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივებთან მიმართებაში, რას ველით ამ ურთიერთობებში და როგორ უნდა განვავითაროთ მომავალში. ეს ანტირუსული ისტერია არ დაწყებულა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლით, მას უფრო ღრმა ფესვები აქვს.

შეხვედრაზე მიწვეულმა ცნობილმა სახეებმა „ახალ თაობას" განუცხადეს:

ნუგზარ კვაშალი მომღერალი:

– ჩვენ ყოველთვის დავდიოდით რუსეთში კონცერტებით, არ ვაქცევთ ყურადღებას პოლიტიკოსების ურთიერთდაპირისპირებას, კულტურა მაინც მუშაობს, იმიტომ, რომ რუსეთი პუტინი არ არის და საქართველო სააკაშვილი, იქ ბევრი მეგობარი მყავს, მათაც უამრავი მეგობრები ჰყავთ საქართველოში და ნუ დაგვავიწყდება, რომ დაახლოებით 700.000 ქართველი ცხოვრობს მარტო მოსკოვში. აქედან 5.000 ჩემი ნაცნობია, ისინი იქ ცხოვრობენ, მუშაობენ, ფულს აკეთებენ, ოჯახებს ინახავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ შეიძლება რაღაცის გაკეთება. როცა საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო, გვახსოვს, ეს რისი ბრალიც იყო, ამან მოუშალა იმას ნერვები, მერე ისიც გაბრაზდა და რა მოხდა რეალურად, ამას ისტორია გვაჩვენებს. პოლიტიკა არის ძალიან ბინძური თამაში და ამიტომ ჩვენ კულტურულად გვინდა მოვუღოთ ბოლო ამ სიბინძურეს და კულტურულად, თავისი ქათქათა და ლამაზი ფერებით გადავფაროთ სიბინძურე, მოვეფეროთ ხალხს და არა მთავრობას. მთავრობაც თუ ჩათვლის საჭიროდ, მოვიდეს და აღიაროს, რომ ერთი სიმღერა უდრის 15 ტანკს და ორი ცეკვა უდრის მთელ არმიას, ძალიან კარგი იქნება. ახლა ერისიონი მიდის კონცერტებით, მერე რუსთავი ჩადის, ახლა ჩვენ გვინდა მთავარი გავაკეთოთ, საბავშვო კოლექტივები ჩავიყვანოთ მოსკოვში. მაისში საბავშვო კოლექტივები ჩამყავს მოსკოვში, იმიტომ, რომ ბავშვობიდან იწყება ყველაფერი – მტრობაც და მეგობრობაც. ჩვენ გვინდა ყველაფერი მეგობრულად დავიწყოთ, რომ ასე მტრულად არ დამთავრდეს ყველაფერი, როგორც ახლა არის. ჩვენ ვაგრძელებთ კულტურულ ურთიერთობას, ახლაც მივდივართ მოსკოვში და კიდევ ბევრი ძალიან ლამაზი კონცერტი გვექნება, იმიტომ, რომ ერთი სიმღერა მთელი 15 ტანკის ტოლფასია.

– ერთი სიმღერა მართლა უდრის 15 ტანკს?

– შეიძლება მეტსაც უდრიდეს, იმიტომ, რომ სიმღერას ძალიან ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებია. რუსეთში დიდხანს ვიყავი, იქ ვცხოვრობდი და ვმუშაობდი და იქაური სიტუაცია ძალიან კარგად ვიცი. სხვათა შორის, დღეს რუსეთის ტელევიზია ერთ-ერთი ყველაზე მაგარი ტელევიზიაა მთელ მსოფლიოში. რუსეთის რომელიმე მთავარ არხზე არ არსებობს, რომ არ გავიდეს რომელიმე ქართული ფილმი, არ შეიძლება რომ კვირაში ერთხელ რომელიმე ქართველი მომღერლის კონცერტი არ აჩვენონ, ყველაზე წარმატებული ექიმები მოსკოვში – მთავარი ონკოლოგები, მთავარი პედიატრები, მთავარი ქირურგები არიან ქართველები. არ შეიძლება ამისთანა ნიჭის დაკარგვა და ახლა ეს ორი კაცი რომ ვერ არის კარგად ერთმანეთში, ამ ორ კაცს ხომ არ გადავაყოლებთ ჩვენს მეგობრობას? ყველამ თავის საქმეს მიხედოს, ჩვენ ჩვენს კულტურას მივხედავთ, როგორმე მოვეფერებით ერთმანეთს და შევინარჩუნებთ ჩვენს მეგობრობას. რა თქმა უნდა, რუსეთი ყოველთვის იყო დამპყრობელი, მაგრამ მაშინ მასე თურქეთმა ნაკლები ტერიტორიები წაგვართვა? გერმანელებმა დაგვიხოცეს ნახევარი საქართველო, ასე თუ ჩამოვთვლით, ძალიან შორს წავალთ. დაიწყეს ლაპარაკი მოღალატეებიო, რატომ გვავიწყდება, საქართველოს რომ მოღალატეები ჰყავდა, მაგდენი ვის ჰყავდა? რატომ გვავიწყდება, რომ ჩვენთან ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდებოდა? ერთმანეთის მტრები ვართ ჩვენ! ჩვენ ჩვენი თავის მტრები ვართ!

– ჰქვია თქვენს მოწოდებებს სახალხო დიპლომატია?

– შეიძლება ჩვენს გადაწყვეტილებას ეწოდოს სახალხო დიპლომატია. როდესაც ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნის საღამო ტარდებოდა მოსკოვში, არავინ წავიდა, მე გავბედე და წავედი. ჩემს თავს ვაჟკაცად ვთვლიდი, რადგან ჩემი მეგობრის ხსოვნას ვეცი პატივი, აქ ტელევიზიით გამკიცხეს, რომ ჩამოვა დავსჯითო, იძახდნენ და გამიხარდა, რა პოპულარული ვარ, დამსჯიან კიდეც-მეთქი. იქ რომ ჩავედი, გაიხსნა ფარდა და დაიწყო კონცერტი, იმ დარბაზში იჯდა 1800 კაცი, მათ შორის იყვნენ აფხაზები, სომხები, რუსები, ქართველები, ოსები, შავები, თეთრები, მწვანეები, ყველა იყო და მაშინ ვთქვი, მოდით, ამ ულამაზესი სიმღერების კომპოზიტორის ხსოვნის საღამოზე გადავხვიოთ ხელი ერთმანეთს და ჩავეხუტოთ-მეთქი. იქ იყო ცრემლი, ტაში, ემოციები და მივხვდი, რაც უფრო მეტ კონცერტს ჩავატარებთ, ამით მოვიგებთ და ეს მოგება ნამდვილად მართლმადიდებლური და ქრისტიანულია და ამით დავამტკიცებთ, რომ ყველაზე მაგრები ქართველები ვართ!

ვახტანგ ტატიშვილი, მომღერალი:

– ჩვენი შეხვედრები შედეგს აუცილებლად გამოიღებს. ნელ-ნელა უნდა დავიწყოთ და შედეგიც იქნება. ჩვენ გვინდა უბრალოდ იყოს ნორმალური ვითარება რუსეთთან და ვის არ უნდა ეს? მგონია, რომ ყველას უნდა. როგორ გავაკეთოთ ეს და როგორ მივაღწიოთ ნორმალურ ურთიერთობას, ამას კარგი მოფიქრება სჭირდება. მიმაჩნია, რომ კულტურული, სპორტული, მეცნიერული და ეკონომიკური ურთიერთობები ამ ყველაფერს ხელს შეუწყობს, ამიტომ კულტურის მოღვაწეები შევიკრიბეთ და ვისაუბრეთ, თუ როგორ გვესახება მომავალში ეს ურთიერთობები. პოლიტიკოსებმა თავის საქმეს მიხედონ, ჩვენ ვართ ხალხი და ხალხის დონეზე გადავწყვეტთ, რა გვინდა. ალბათ პოლიტიკოსები მერე გადაწყვეტენ, აღდგება თუ არა დიპლომატიური ურთიერთობები, ვიზების ამბავი შერ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.
- მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.
- კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

ფავორიტთა იოლი ტური

არმია – სოხუმი 91:84

მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდები ცხრილში საკმაოდ დაცილებულნი არიან, მაყურებელმა საინტერესო დაპირისპირება იხილა. სოხუმელებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და ჩემპიონს ღირსეულად ეთამაშნენ. პირველი მეოთხედის 7 ქულით წაგების შემდეგ ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა მობილიზება შეძლო და მეორე პერიოდში დაწინაურდა. თუკი აქამდე ირაკლი ჩლაიძის სახით გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდათ, სოხუმელები ახლა გაცილებით გუნდურად თამაშობდნენ და ეს შედეგზეც აისახა. ფარქვეშ სერგო ათუაშვილი და ვახტანგ ქადარია იბრძოდნენ, ხოლო პერიმეტრზე სარგებლიანად სერბი ლეგიონერი ბოსკო სტოიაკოვიჩი და ირაკლი ჩლაიძე ირჯებოდნენ.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე სოხუმელებმა 1 ქულით დაწინაურება მოახერხეს, თუმცა ანატოლი ბოისას სამქულიანის შემდეგ დიდ შესვენებაზე ლიდერად „არმია“ გავიდა – 50:48. კვარაცხელიას გუნდი მეორე ტაიმის დასაწყისშიც ღირსეულად იბრძოდა და მე-5 წუთზე წინ კიდევ ერთხელ გავიდა – 58:57, თუმცა არმიელებმა გაქცევა მოაწყვეს და ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს. ლაშა ფარღალავას, ზვიად ბაბიაშვილისა და ლაშა გამყრელიძის შედეგიანობით თავდაცვის სამინისტროს გუნდი მესამე პერიოდის ბოლოს 71:64 დაწინაურდა.

ბოლო პერიოდში არმიელებმა საბოლოოდ მოახერხეს თამაშზე კონტროლის დაწესება. საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე კოტე ტუღუშის გუნდის ლიდერობამ 11 ქულას მიაღწია (77:66), რაც გამარჯვებაზე სერიოზული განაცხადი იყო. დარჩენილ დროში სოხუმელებმა ისევ გაიბრძოლეს, მაგრამ არმიელებთან 5 ქულაზე ახლოს მისვლა (79:84) ვერ მოახერხეს. თავდაცვის სამინისტროს გუნდმა საბოლოოდ დაგეგმილი, თუმცა რთული გამარჯვება მოიპოვა – 91:84.

გამარჯვებულთაგან 24 ქულით ბომბარდირი ლაშა ფარღალავა გახდა, ხოლო ვეტერანმა ზვიად ბაბიაშვილმა შეხვედრა 19 ქულით დაასრულა. სოხუმელთაგან ბომბარდირი ირაკლი ჩლაიძე იყო 21 ქულით, ხოლო სერგო ათუაშვილმა 18 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა.

შსს – სტუ 78:59

მატჩის პირველი ტაიმი ისეთი გამოდგა, ვერ იფიქრებდით, რომ ერთმანეთს ლიდერი და აუტსაიდერი ხვდებოდნენ. სტუ-ს მიმდინარე სეზონში მოგება ჯერ არ აქვს, აკადემიელები კი ცხრილის სათავეში არიან. პირველი ნახევარი ფრედ – 33:33 დასრულდა და მესამე პერიოდის დასაწყისშიც თანაბარი ბრძოლა იყო, თუმცა შემდეგ ფავორიტმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და გამარჯვებამდეც მივიდა – 78:59.

პირველ ტაიმში თანაბარი თამაში მეტწილად იმით იყო განპირობებული, რომ აკადემიელთა მთავარმა მწვრთნელმა, გიორგოს კეცელიდისმა 2 ამერიკელი ლიდერი – კირკ არჩიბეკი და დეონტა ვონი დაასვენა. მომავალ ტურში „შსს-აკადემია“ „არმიას“ ხვდება და ლეგიონერთა დასვენებაც სავარაუდოდ ამით იყო განპირობებული.

სტუ-ს შედეგიანი თამაშისა და ანგარიშის შემხედვარე აკადემიელთა მწვრთნელმა მეორე ტაიმში მოედანზე ამერიკელი გამთამაშებელი შეუშვა. ვონმა შსს-ელთა შეტევებს სისწრაფე და შედეგიანობა შემატა, რაც მესამე მეოთხედის მიწურულს შედეგზეც აისახა. მანამდე თანაბრად ზრდადმა ანგარიშმა შსს-თვის სასარგებლო სახე მიიღო და მესამე მეოთხედის 26:14 მოგების შემდეგ კეცელიდისის გუნდი 12 ქულით დაწინაურდა – 59:47.

ბოლო ათწუთეულში „შსს-აკადემიამ“ თამაში გამარჯვებამდე იოლად მიიყვანა. 25 ქულითა და 11 მოხსნით აკადემიელთაგან საუკეთესო ბენჟამინ რეიმონდი გახდა, მერაბ ბოქოლიშვილმა 16 ქულა მიითვალა, ხოლო ილია ღონდარიძემ – 15. სტუ-ში 10-ქულიანი ზღვარი მხოლოდ ზურა მაჩალაძემ დაძლია, რომელმაც 15 ქულა მოაგროვა. მაჩალაძეს ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა.

ოლიმპი – თსსუ 110:63

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ბრძოლა არ შედგა. კლასში სხვაობა ძალიან დიდი იყო. მედიკოსებმა მეტოქეს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მესამე წუთზე დაფიქსირდა ბოლო თანაბარი ანგარიში (6:6), რის შემდეგაც სპორტის სამინისტროს გუნდმა სრული უპირატესობა მოიპოვა და ლიდერობასაც მეოთხედიდან მეოთხედამდე ზრდიდა.

ოლიმპელთაგან სამმა კალათბურთელმა 20-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. მიხეილ ბერიშვილმა 25 ქულითა და 15 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა, ასევე ორმაგი დუბლი ჰქონდა აკაკი დვალიშვილს (21 ქულა, 16 მოხსნა), ხოლო ლევან ფაცაციამ პირად ანგარიშზე 22 ქულა და 7 პასი ჩაიწერა. დამარცხებულთაგან 14 ქულით ბომბარდირი გიორგი ფერიაშვილი გახდა, ლევან რევაზაშვილის ანგარიშზე კი 10 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.



რუსთავი – თსუ 86:68

სტუდენტებმა, რომლებიც 8 მოგებითა და 6 მარცხით ცხრილში მე-7 ადგილზე არიან, მასპინძლებს მხოლოდ მატჩის საწყის წუთებში გაუწიეს წინააღმდეგობა. თანაბარი დებიუტის შემდეგ რუსთაველებმა უპირატესობა მოიპოვეს. ლევან ცეკვავასა და კაილ ნელსონის შედეგიანობით პერიოდი 22:13 მოიგეს და მეორე ათწუთეულიდან ტემპს კიდე უფრო უმატეს.

მეორე მეოთხედში შეუჩერებელი იყო რუსთაველთა ამერიკელი გამთამაშებელი ნეით ბოუი, რომელმაც 15 ქულა მოაგროვა. ბოუის კაილ ნელსონიც უბამდა მხარს და დიდი შესვენებისთვის მასპინძლები 26 ქულით დაწინაურდნენ – 55:29.

გადამწყვეტი მეოთხედის წინ კი, რუსთაველები უკვე 70:45 იგებდნენ და გამარჯვებამდე მისვლაც არ გასჭირვებიათ.

მოგებულთაგან 25 ქულითა და 6 ჩაჭრით თავი ბოუიმ გამოიჩინა, 19 ქულა ჰქონდა ლევან ცეკვავას, ხოლო კაილ ნელსონს – 13. რაც შეეხებათ სტუდენტებს: 13-13 ქულა სამმა კალათბურთელმა მოაგროვა – დავით ხიზანიშვილმა, სერჟ ასელაინმა და გიორგი ვახანიამ.

ქუთაისი – ბათუმი 82:73

მიუხედავად იმისა, რომ, აღნიშნულ შეხვედრაში, ფავორიტად ქუთაისი მოიაზრებოდა, ცხრილის მერვეადგილოსანმა ბათუმმა, საგრძნობი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს და თამაშის პირველი ნახევარი 10-ქულიანი უპირატესობით მოიგო. პირველ პერიოდში კობეშავიძის გუნდმა 26:19 იმარჯვა, მეორე მეოთხედში კი 18:14 მოიგო. მატჩის მეორე ტაიმში სტუმრებმა კიდევ უფრო მოუმატეს და სხვაობა 21 ქულამდეც ავიდა. ამის შემდეგ მასპინძელი გუნდი გააქტიურდა. მესამე პერიოდი 20:19 მოიგო, ბოლო, გადამწყვეტი მეოთხედი ქუთათურებმა თავიანთ სასარგებლოდ დააფიქსირეს და საბოლოო მოგებაც გაიფორმეს – 82:73.

თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუმრები ბოლოს მოედანზე 4 კალათბურთელის ამარა დარჩნენ. ორი მათგანი არასპორტული საქციელისთვის იქნა გაძევებული, ხოლო რამდენიმე კალათბურთელმა ჯარიმების ზღვართა ლიმიტს გადააბიჯა.

მატჩის გამორჩეული მოთამაშეები ქუთაისელთაგან რიჩარდ მათიაშვილი (30 ქულა, 18 მოხსნა) და ბუბა კვიმსაძე (21 ქულა) იყვნენ, ხოლო ბათუმელთაგან – ლაშა კეშელავა (29 ქულა, 9 მოხსნა).

სატუნიო ცხრილი:

1.შსს	15	13	2	1254:999	28
2.რუსთავი	15	12	3	1300:1079	27
3.არმია	14	12	2	1296:945	26
4.ოლიმპი	14	12	2	1253:996	26
5.ქუთაისი	15	9	6	1208:1078	24
6.დინამო	14	9	5	1084:1035	23
7.თსუ	15	5	10	1057:1204	20
8.სოხუმი	14	4	10	1069:1167	18
9.ბათუმი	15	3	12	1024:1239	18
10.სტუ	15	0	15	957:1337	15
11.თსსუ	14	1	13	876:1299	15

ფაჩულია ხუთეულში ლეიკერსთან დრამატულ მატჩში დაბრუნდა

მორიგი მარცხი განიცადა ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“. ჯორჯიელებმა ამჯერად მრისხანე მეტოქესთან, დრამატულ ფინალში, 1 ქულით წაგეს. ლოს ანჯელესში, ადგილობრივ „ლეიკერსთან“ დაძაბული შეხვედრის ბოლო წამებზე კობი ბრაიანტმა ჯორჯიელებს გამარჯვება წაართვა. მატჩის დასრულებამდე 20 წამით ადრე ჯოს სმიტმა და ალ ჰორფორდმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელის მოხდენილად ჩატენილი ბურთით ატლანტელები 98:97 დაწინაურდნენ. თამაში, როგორც ხდება ხოლმე, საკუთარ თავზე ბრაიანტმა აიღო და ანგარიშზე 22 ქულა და 7 პასი ჩაიწერა. დამარცხებულთაგან 14 ქულით ბომბარდირი გიორგი ფერიაშვილი გახდა, ლევან რევაზაშვილის ანგარიშზე კი 10 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.

რუსთავი – თსუ 86:68

სტუდენტებმა, რომლებიც 8 მოგებითა და 6 მარცხით ცხრილში მე-7 ადგილზე არიან, მასპინძლებს მხოლოდ მატჩის საწყის წუთებში გაუწიეს წინააღმდეგობა. თანაბარი დებიუტის შემდეგ რუსთაველებმა უპირატესობა მოიპოვეს. ლევან ცეკვავასა და კაილ ნელსონის შედეგიანობით პერიოდი 22:13 მოიგეს და მეორე ათწუთეულიდან ტემპს კიდე უფრო უმატეს.

მეორე მეოთხედში შეუჩერებელი იყო რუსთაველთა ამერიკელი გამთამაშებელი ნეით ბოუი, რომელმაც 15 ქულა მოაგროვა. ბოუის კაილ ნელსონიც უბამდა მხარს და დიდი შესვენებისთვის მასპინძლები 26 ქულით დაწინაურდნენ – 55:29.

გადამწყვეტი მეოთხედის წინ კი, რუსთაველები უკვე 70:45 იგებდნენ და ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო დამცველ ჯოშ სმიტის ხელებიდან გამარჯვების ბურთი ჩააგდო.

ატლანტელებს შეტევისთვის დარჩენილი ჰქონდათ 9 წამი და ზუსტად იგივე კომბინაცია გაათამაშეს, რაც წინა შეტევისას, თუმცა ამჯერად მასპინძლებმა დაცვაში იყოჩაღეს, კარგად დაუზღვიეს ჰორფორდი, რომელიც პირით ხაზთან მიიმწყვდიეს და აიძულეს პერიმეტრზე უზუსტო პასი გაეკეთებინა. ბურთი სტივ ბლეიკმა ჩაჭრა და „ლეიკერსმა“ გამარჯვება გაიფორმა – 99:98.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა, მაგრამ ბოლო მეოთხედამდე მოედანზე მხოლოდ 10 წუთი იმყოფებოდა. გადამწყვეტ პერიოდში ქართველმა ცენტრმა 6 წუთი ითამაშა და საკმაოდ დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ ატლანტელებმა გამარჯვების შანსი ბოლო წამებამდე შეინარჩუნეს. საბოლოოდ ფაჩულიას ანგარიშზე 2 ქულა, 2 მოხსნა და 4 შედეგიანი პასი დაგროვდა. ზაზამ მხოლოდ ერთხელ შეუტია ლეიკერსელთა ფარს და ისიც ზუსტად.

33 მოგებითა და 25 წაგებით „ატლანტა“ აღმოსავლეთ კონფერენციაი მე-4 ადგილზე რჩება.

ქართველებს ორი ოქრო და ერთი სერთიფიკატი ერგოთ

ქართველმა ძიუდოისტებმა ბრწყინვალედ დაწყებული წელიწადი პოლონეთში, ვარშავის ევროპის ღია თასზე შესანიშნავი ასპარეზობით გაგრძელეს და ტურნირი 2 ოქროს, ვერცხლის და გუნდური პირველი ადგილით დაასრულეს. ევროპის ღია თასის ჩემპიონები ნუგზარ ტატალაშვილი და ლევან წიკლაური გახდნენ, ზებედა რეხვიაშვილი კი მეორე ადგილზე გავიდა.

73კგ-მდე წონით კატეგორიაში ქართული ფინალი გაიმართა. ტურნირის ტრიუმფატორმა ნუგზარ ტატალაშვილმა 5 ორთაბრძოლიდან 3 იპონით მოიგო: ირლანდიელ ლოიდ მანინგთან, პოლონელ დამიან შვარნოვიცკისთან და გერმანელ სოშინ კაცუმისთან სუფთად იმარჯვა, რუს დენის იარცევს გაფრთხილებებით აჯობა, ზებედა რეხვიაშვილს კი შიდოებით. თავის მხრივ, რეხვიაშვილმა გერმანელი შტეფან ფრიდრიხი ვაზარით დაამარცხა, ევროპის ჩემპიონი, ესპანელი კიოში უემაცუ – იუკოთი, უკრაინელ სერგეი დრებოტს და ბრიტანელ იან გოსიევსკის კი გაფრთხილებებით აჯობა.

81კგ-მდე წონაში ლევან წიკლაურმა პირველი წრე გამოტოვა, შემდეგ კი ზედიზედ აჯობა სერბი ალექსეი ნეფედოვს (იპონი), ესტონელი ევგენი სალეევს (იპონი), ფრანგ კვენტინ ჟუბერს, რუს მაქსიმ ბუგას (იპონი), ფინალში კი ლატვიელი კონსტანტინ ოვჩინიკოვსიც დაამარცხა (ვაზარი-იუკო). ერთი კვირის წინ ლევან წიკლაურმა დიუსელდორფის გრან-პრის ფინალშიც იასპარეზა, თუმცა იქ ავთანდილ ჭრიკიშვილთან წააგო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი ძიუდოისტი ბექა ღვინიაშვილი ძიუდოს ევროპის კავშირმა სპეციალური სერთიფიკატით დაჯილდოვა. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთ შეხვედრისას ღვინიაშვილის მეტოქემ ფეხი იტკინა და არათუ ბრძოლის გაგრძელება, არამედ დამოუკიდებლად მოძრაობა უჭირდა. ქართველმა მოჭიდავემ უნგრელი კრისტიან ტოტი საკუთარ მხრებზე მოიგდო და ისე მიიყვანა ექიმამდე.

– ჩვენ ვსაუბრობთ ხშირად და ვამაყობთ, ის ფაქტი, რომ ძიუდოში მეტია სპორტი. ეს ძიუდოს ევროპის კავშირის დევიზია. დღეს ყველამ დაინახა თავგანწირვა სპორტსმენისა და ძიუდოს ღირებულებების შენახვა ერთ სულისკვეთებად. ბექა ღვინიაშვილის ნაჩვენები ჭეშმარიტი ზრუნვა, როდესაც მის ოპონენტს არ შეეძლო მოძრაობა, დასაფასებელია. ამის გამო ქართველი ძიუდოისტი ფეარ პლეის სპეციალური სერთიფიკატით დაჯილდოვდება, – აღნიშნულია ძიუდოს ევროპის კავშირის ვებგვერდზე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ტოტენჰემი-არსენალი 2:1

სატუნიო ცხრილი:

1.მანჩესტერი	28	23	2	3	68:31	71
2.სიტი	27	16	8	3	50:24	56
3.ტოტენჰემი	28	16	6	6	49:33	54
4.ჩელსი	28	15	7	6	56:30	52
5.არსენალი	28	13	8	7	53:32	47
6.ევერტონი	28	11	12	5	44:35	45
7.ლივერპული	28	11	9	8	53:34	42
8.ვესტ ბრომვიჩი	28	12	4	12	38:37	40
9.სუონსი	28	10	10	8	39:34	40
10.ფულემი	28	8	9	11	39:44	33
11.სტოკი	28	7	12	9	26:33	33
12.ვესტ ჰემი	28	9	6	13	32:41	33
13.ნორვიჩი	28	7	11	10	27:45	32
14.სანდერლენდი	28	7	9	12	31:38	30
15.ნიუკასლი	28	8	6	14	38:49	30
16.საუთჰემპტონი	28	6	9	13	39:51	27
17.უიგანი	28	6	6	16	33:55	24
18.ასტონ ვილა	27	5	9	13	26:52	24
19.რედინგი	28	5	8	15	34:54	23
20.ქპრ	28	3	11	14	21:44	20

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

გრანადა-მალიორკა 1:2
ესპანიოლი-ვალიადოლიდი 0:0
მალაგა-ატლეტიკო 0:0
სოსიედადი-ბეტისი 3:3

სატუნიო ცხრილი:

1.ბარსელონა	26	22	2	2	83:30	68
2.ატლეტიკო	26	18	3	5	48:23	57
3.რეალი	26	17	4	5	64:24	55
4.მალაგა	26	12	7	7	35:24	43
5.ვალენსია	26	12	6	8	38:39	42
6.სოსიედადი	26	10	8	7	44:34	41
7.ბეტისი	26	12	4	10	37:38	40
8.ხეტაფე	26	11	5	10	39:42	38
9.რაიო	26	12	2	12	34:43	38
10.ლევანტე	26	10	5	11	32:40	35
11.ვალიადოლიდი	26	9	7	10	34:33	34
12.სევილია	25	9	5	11	34:37	32
13.ესპანიოლი	26	8	8	10	31:35	32
14.ბილბაო	26	8	5	13	31:49	29
15.ოსასუნა	26	6	7	12	22:28	28
16.გრანადა	26	7	5	14	25:38	26
17.სარაგოსა	26	7	4	15	24:38	25
18.მალიორკა	26	5	6	15	26:49	21
19.სელტა	25	6	5	14	24:32	20
20.დეპორტივო	26	3	8	15	29:56	17

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

უელვა-ელჩე 1:2
უესკა-ალკორკონი 0:1
ერკულესი-ალმერია 0:2
გავდალახარა-საბადელი 1:1
მირანდესი-ლუგო 1:0
მურსია-ხერესი 3:1
ნუმანსია-რასინგი 2:0
პონფერადინა-რეალი ბ 2:0
ხიხონი-ხირონა 4:0
კორდობა-ვილიარეალი 0:2

იტალია. სერია ა

ტორინო-პალერმო 0:0
ბოლონია-კალიარი 3:0
კატანია-ინტერი 2:3
პესკარა-უდინეზე 0:1
სამპდორია-პარმა 1:0
სიენა-ატალანტა 0:2
ფიორენტინა-კიევო 2:1
რომა-ჯენოა 3:1

სატუნიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	27	18	5	4	54:18	59
2.ნაპოლი	27	15	8	4	47:22	53
3.მილანი	27	14	6	7	48:32	48
4.ინტერი	27	14	5	8	44:36	47
5.ლაციო	27	15	5	8	37:32	47
6.ფიორენტინა	27	13	6	8	48:33	45
7.რომა	27	13	4	10	57:48	43
8.კატანია	27	12	6	9	36:34	42
9.უდინეზე	27	10	10	7	36:34	40
10.სამპდორია	27	10	6	11	34:30	35
11.ბოლონია	27	9	5	13	38:36	32
12.ტორინო	27	7	12	8	32:32	32
13.პარმა	27	8	8	11	32:36	32
14.კალიარი	27	8	7	12	32:47	31
15.ატალანტა	27	8	5	14	24:40	30
16.კიევო	27	8	5	14	27:44	29
17.ჯენოა	27	6	8	13	27:40	26
18.სიენა	27	7	6	14	27:39	21
19.პესკარა	27	6	3	18	20:54	21
20.პალერმო	27	3	12	12	22:39	20

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა
ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა
ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა
სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰოფენჰაიმი-ბაიერნი 0:1
ფორტუნა-მაინცი 1:1

სატუნიო ცხრილი:

1.ბაიერნი	24	20	3	1	58:7	63
2.დორტმუნდი	24	13	7	4	54:28	46
3.ლევერკუზენი	24	13	6	5	45:31	45
4.აინტრახტი	24	11	5	8	38:35	38
5.ფრაიბურგი	24	9	9	6	30:23	36
6.შალკე	24	10	6	8	41:39	36
7.ჰამბურგი	24	10	5	9	29:33	35
8.მაინცი	24	9	7	8	32:29	34
9.გლადბახი	24	8	10	6	33:34	34
10.ჰანოვერი	24	10	3	11	47:45	33
11.შტუტგარტი	24	8	5	11	26:42	29
12.ფორტუნა	24	7	7	10	29:32	28
13.ნიურნბერგი	24	6	10	8	24:31	28
14.ვერდერი	24	8	4	12	39:48	28
15.ვოლფსბურგი	24	7	6	11	24:37	27
16.აუგსბურგი	24	4	9	11	21:36	21
17.ჰოფენჰაიმი	24	4	4	16	27:49	16
18.ფიურტი	24	2	8	14	14:37	14

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფრანკფურტი-კიოლნი 1:1
მიუნხენ 1860-ინგოლშტადი 1:1
ალენი-ზანკტ პაული 0:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

ბრესტი-ლიონი 1:1
მარსელი-ტრუა 2:1
ლილი-ბორდო 2:1

სატუნიო ცხრილი:

1.პსჟ	27	16	6	5	49:17	54
2.ლიონი	27	15	7	5	47:26	52
3.მარსელი	27	14	4	8	34:32	49
4.სენტ ეტიენი	27	13	8	6	44:19	47
5.ნიცა	27	12	9	6	39:32	45
6.მონპელიე	27	13	5	9	43:32	44
7.ლილი	27	11	10	6	36:27	43
8.რენი	27	12	5	10	39:36	41
9.ლორიენი	27	10	10	7	43:43	40
10.ბორდო	27	9	11	7	27:24	38
11.ვალანსიენი	27	9	8	10	35:37	35
12.ტულუზა	27	8	10	9	32:32	34
13.ბასტია	27	8	6	13	30:51	30
14.აიაჩო	27	7	10	10	29:37	29
15.ბრესტი	27	8	5	14	28:37	29
16.სოშო	27	7	6	14	28:40	27
17.რეიმსი	27	6	9	12	23:31	27
18.ევიანი	27	5	9	13	23:39	24
19.ნანსი	27	4	9	14	24:45	21
20.ტრუა	27	3	11	13	29:48	20

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ნაიმეგენი-ფეინოორდი 0:3
ვალვაიკი-ალკმაარი 2:1
როდა-გრონინგენი 4:1
დენ ჰააგი-ერაკლესი 3:1

პორტუგალია. ა ლიგა

ჟილ ვისენტე-მადეირა 1:2
მარიტიმუ-მორეირენსე 1:1
რიუ ავე-ეშტორილი 0:2
ბეირა მარი-ბენფიკა 0:1

შვეიცარია. სუპერლიგა

სერვეტი-ბაზელი 1:2
იანგ ბოიზი-სტ.გალენი 2:0
ლოზანა-გრასჰოპერსი 0:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-რაპიდი 2:1

ბელგია. პრიერიგა

შარლეროა-ვარეგემი 0:1

ბელგია. თასი

კორტრაიკი-სერკლი 1:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლევადიაკოსი-ქსანთი 1:4
პაოკი-პანიონიოსი 4:2
იანინა-ასტერასი 1:2
აეკი-პანათინაიკოსი 0:2

თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-გაზიანთები 5:2
ქაისერი-მერსინი 2:1
ბურსა-სივასი 1:0
ბეშიქთაში-ფენერბახჩე 3:2

ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

იაბლონეცი-ბრნო 2:0
ჰრადეც კრალოვე-სიგმა 0:2
სლავია-ბოლესლავი 1:1
პლზენი-ბანიკი 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

კორონა-შლეონსკი 1:1
გურნიკი-იაგელონია 1:2

უკრაინა. პრემიერლიგა

ზორია-ჰოვერლა 2:1
ტავრია-კარპატი 0:2
ჩერნომორესი-ვორსკლა 0:2
დინამო-კრივბასი 1:1

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ჰორსენსი 1:0
ბრონდბიუ-რანდერსი 0:2
ოდენსე-კოპენჰაგენი 2:3

აშშ. მლს

ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 4:0
პორტლენდი-ნიუ იორკი 3:3
სან ხოსე-სოლტ ლეიკი 0:2

არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

გოდოი-არხენტინოსი 0:0
სან ლორენცო-რივერ პლეიტი 2:0
ტიგრე-ოლ ბოიზი 2:1
რასინგი-ლანუსი 0:0
ბოკა-სანტა ფე 1:3

კალათბურთი

ნბა. ჩემპიონატი სეზონი

ნიუ იორკი-მაიამი 93:99
კლიპერსი-ოკლაჰომა 104:108
ვაშინგტონი-ფილადელფია 90:87
ორლანდო-მემფისი 82:108
საკრამენტო-შარლოტი 119:83
ჰიუსტონი-დალასი 136:103
ინდიანა-ჩიკაგო 97:92
ლეიკერსი-ატლანტა 99:98

ჰოკეი

ნჰლ. ჩემპიონატი სეზონი

დეტროიტი-ჩიკაგო ..... 1:1(0:1ბ)
დალასი-სენტ ლუისი 4:1
კოლამბუსი-კოლორადო ..... 2:1(ოტ)
ნიუ იორკი-ოტავა ..... 2:2(1:0ბ)
ფლორიდა-კაროლინა 2:3
ბოსტონი-მონრეალი 3:4
რეინჯერსი-ბუფალო ..... 2:2(1:0ბ)
კალგარი-ვანკუვერი 4:2
მინესოტა-ედმონტონი 4:2

როგორი ურთიერთობა სურთ ქართველ ხელოვანებს რუსეთთან?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ბილდეს და საერთოდ მოიხსნას, უკან წაიღონ თავისი სიტყვა ჩვენი ტერიტორიების აღიარებასთან დაკავშირებით, ამას დასჭირდება დიდი დრო და ამის დეტალებს ვერ გეტყვით, მე ხომ პოლიტიკოსი არ ვარ.

– დიდი ხანია რუსეთში არ ყოფილხართ?

– თავის დროზე მთელი რუსეთი მოვიარე და დამერწმუნეთ, რომ რუსეთში არც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, ეს იქნება გლეხი, არტისტი, მეშახტე, მუშა თუ კაი გოგოები, არავის არ უნდა ჩვენთან დაძაბულობა. პირიქით, მათ მონატრებული აქვთ ჩვენთან ურთიერთობებიც, ჩვენი სიმღერებიც. მოსკოვში შარშან ვიყავი გაზაფხულზე და დიდი სითბო და სიყვარული ვიგრძენი. რა თქმა უნდა, ჩვენ გაბრაზებულები ვართ, რომ ჩვენი ტერიტორიები აღიარა, მაგრამ ხომ არ უნდა ვუცადოთ 100 წელი, როდის გამოსწორდება ჩვენი და რუსეთის მთავრობა?!

– არის თქვენი საქმიანობა ხალხური დიპლომატია?

– თუ გნებავთ, ასე დავარქვათ, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენს უახლოეს და უდიდეს მეზობელთან გვქონდეს ნორმალური მეზობლობა და ურთიერთობა. ამ შეხვედრით დაიწყება აღბათ პირველი ბიძგები და მერე ყველაფერი გამოსწორდება.

– თქვენი რუსი კოლეგების აზრი იცით?

– ჩემს რუს კოლეგებსაც ასეთი აზრი აქვთ, მათაც მონატრებული აქვთ ჩვენი სიმღერებიც, ჩვენი ღვინოებიც და ჩვენთან ურთიერთობაც. მთავარია დავიწყეთ, ამაში პოლიტიკა საერთოდ არ ურევია და მჯერა, რომ აუცილებლად ყველაფერი გამოვა. ეს რიტორიკა, რომ რუსეთი მტერია, არ არის გამართლებული. ჩვენ მომავალი თაობები გვეზრდებიან და მათ უნდა იცოდნენ, რომ არ არის მთელი რუსეთი ჩვენი მტერი. შეიძლება ვიღაც მართლაც არის ჩვენი მტერი, მაგრამ მოსმენა უნდა ყველაფერს. ვთვლი, რომ რუსული არხები აუცილებლად უნდა იყოს საქართველოში, მტრის ენა ხომ უნდა ვიცოდეთ? რუსული ინფორმაციული არხები აუცილებლად უნდა იყოს ჩართული საქართველოში, რომ ხალხმა თვითონ გააკეთოს ანალიზი. ყინული ნელ-ნელა დაიძრა – ახლა კონცერტებით მიდის მოსკოვში „ერისიონი“, მერე „რუსთავი“ ჩავა, მათაც დიდი მოლოდინი აქვთ. როდესაც პირველად დაიგეგმა მოსკოვში ბასილაიას საღამო, ისე გამოაცხადეს, რომ წასვლის სურვილი დავკარგე.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ვიცოდით, მაშინ ამ კონცერტზე მოდიოდა ლუჟკოვი, პუტინი, პოლიტიკოსები და პოლიტიკური ნიშნით დანიშნულ კონცერტზე, როცა გაბრაზებული ვარ რუსეთზე, რომ მან აღიარა სამაჩაბლო და აფხაზეთი, რა თქმა უნდა, არ წავიდოდი. ნამდვილად ვერ წავიდოდი კონცერტზე და თავს ვერ დავუფიცინებდი იმ სიტყვებზე, თუ როგორ გამოსწორდნენ. შარშან რომ ჩატარდა ბასილაიას ხსოვნის კონცერტი, მაშინ არ იყვნენ პოლიტიკოსები, რიგითი მაყურებელი ესწრებოდა და წავედი და მივიღე მონაწილეობა. ჩვენ გვინდა გამოსწორდეს მდგომარეობა და გვინდა გამოვასწოროთ ის, რაც ჩვენ შეგვიძლია. აქ ხალხი უნდა იყოს ჩართული და არა პოლიტიკოსები.

– გჯერათ, რომ გამოგივათ?

– მჯერა, რომ ნელ-ნელა ყველაფერი გამოსწორდება, ბებრები მოვესწრებით თუ არა არ ვიცი, მაგრამ აუცილებლად ყველაფერი დალაგდება.

ირმა სოხაძე, მომღერალი:

– ჩვენ პირველად შევიკრიბეთ და გამოვხატეთ ყველამ ჩვენი მოსაზრება. ხუთი წელი მართლა არ ჩავსულვარ მოსკოვში, იმიტომ, რომ მართლა ნაწყენი ვიყავი, არ მაინტერესებდა პოლიტიკოსების ბრალი იყო ყველაფერი თუ ხალხის. ამდენ ანალიზს არ ვაკეთებდი, არ შემეძლო იქ კონცერტის ჩატარება და მორჩა. დეკემბერში ჩავედი, მალახოვის გადაცემაში დამპატიჟეს და იქ რომ დამინახეს, სხვა მიწვევებიც მივიღე. იანვარში ვივალდის ორკესტრთან ერთად მონაწილეობა მივიღე ჩაიკოვსკის დარბაზში გამართულ ძველით ახალი წლის კონცერტში. მივხვდი, რომ ხალხი არის აბსოლუტურად მზად ჩვენთან ურთიერთობისთვის, ბოდიშებს მიხდიდნენ, ფანტასტიკურად მიმიღო დარბაზმა, ვიმღერე რომანსები, არაჩვეულებრივი ტაში მქონდა, რამდენჯერმე მიწვევდნენ სცენაზე და ბისზე როიალთან რომ ვიმღერე თბილისო, ამის მერე რაც დარბაზში მოხდა, ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო. ისეთი სითბო იყო, ისეთი ოვაცია, ტაში, რომ გაოგნებული ვიყავი. ნახევარი დარბაზი შემოვიდა კულისებში და ბოდიშს გვიხდიდა მთელ საქართველოს, ამბობდნენ, არ ვართ თქვენთან მართლები და იქნებ ვიპოვოთ გზები, რომ სიტუაცია გამოსწორდესო, ამიტომ გაჩნდა სურვილი. რაც მთავარია, ჩვენს ხელისუფლებაში გაჩნდა ეს ნება და როცა ხელისუფლების ნება და ხალხის ნება ერთმანეთს ემთხვევა, რაღაც გამოდის. შარშან და შარშანწინ რაც არ უნდა შეხვედრები გვემართა, არაფერი გამოვიდოდა, რადგან ორივე ქვეყნის ხელისუფლება ერთმანეთის ლანძღვით იყო დაკავებული. ჩვენ ახლა უკვე ვეძებთ შერიგების გზებს და პუტინმა თვითონ თქვა, არ ვიცი სად ვნახო გამოსავალიო. ჩვენ რეალურად გვინდა მოსკოვის კულტურის მოღვაწეებიც შემოგვიერთდნენ და თუკი მართლა რცხვენიათ, რომ XXI საუკუნეში სხვა ქვეყნის ტერიტორიების ოკუპირება დაუშვებელია, მაშინ დაგვეხმარონ, რომ პუტინს და თავის ხელისუფლებას გაუადვილონ გამოსავლის პოვნა. მესმის, რომ ძნელია სიტყვების უკან წაღება, მაგრამ თვითიზოლაციაში აღმოჩნდა რუსეთი, ნაურუს და კიდევ ერთი სახელწიფოს გარდა, არავინ აღიარა სამაჩაბლო და აფხაზეთი. ჩვენ ვფიქრობთ და იმედი გვაქვს, რომ რეალურად ამას შევძლებთ, ჩამოვლენ რუსი ხელოვნების მოღვაწეები, მერე ჩვენ წავალთ და შედეგიც იქნება. არ უნდა იყოს რუსეთში მარტო ბორჯომი, ღვინო და ჩვენი კონცერტები.



– რა არის თქვენი მიზანი?

– ჩვენი მიზანი სულ სხვაა, სწორედ ჩვენ კოლეგები, ჩვენი მეგობრები ავამოქმედოთ, ავამუშავოთ, თუნდაც კომუნიკე დავწეროთ, ეს არ არის გაისად და თუნდაც ორი წლის მერე გადასაწყვეტი საქმე, ბერლინის კედელიც არავის ეგონა, რომ დაინგრეოდა, მაგრამ დაინგრა და გაერთიანება მოხდა. ასე ნელ-ნელა და თითო აგურის დადებით ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ რუსეთი თვითონ იტყვის უარს თავის სრულიად გაუაზრებელ ქმედებაზე. შეიძლება ცოტა ამბიციურია, რომ ხელოვანი ადამიანები ამას ვაპირებთ, მაგრამ ჩვენ უბრალოდ გვინდა დავეხმაროთ პოლიტიკოსებს, ეს რა თქმა უნდა, პოლიტიკოსების გადასაწყვეტია, მაგრამ ჩვენ მათი ხელშეწყობა გვინდა, რომ ერთმანეთთან დასალაპარაკებლად უფრო დალაგებული სიტუაცია ჰქონდეთ. რუსეთისგან ეს პირველი არ იყო და, რა თქმა უნდა, გვეწყინა, ჩვენს ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, საკმაოდ ბევრი რამ გვწყენია რუსეთისგან, მაგრამ მოდით, თვალს ნუ დავხუჭავთ იმაზე, რაც კარგიც გვაქვს, თავის დროზე რუსეთთან შეფარებამ ბევრი სიკეთე მოგვიტანა. კი, თავის დროზე ბევრი რამ გააფუჭეს და სულ სხვა გზით წაიყვანეს ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ მაინც გადავრჩით, დღეს ერი ვართ და გვაქვს ენაც, სარწმუნოებაც და მამულიც და მოდით, ამ მამულის გაერთიანებაში დავეხმაროთ მთავრობებს. მარტო იმის ღაპარაკი, რომ რა კარგია რუსები, არ შეიძლება, პუშკინი რომ კარგია და პუტინი რომ ცუდია, ეს ყველამ ვიცით. ცალსახად არ შეიძლება ღაპარაკი, მედალს ორი მხარე აქვს, ამიტომ შერიგების გზები აუცილებლად უნდა გამოვნახოთ. ადამიანები გაბუტულები რომ არიან, თუ ერთმანეთს არ დაელაპარაკნენ, ვერასოდეს შერიგდებიან და მთელი ცხოვრება იქნებიან გაბუტულები. გაბუტვა ამ შემთხვევაში ვის აწყობს, გასაგებია, ამიტომ მოდით გავანებოთ თავი გაბუტვას და ყველამ ის საქმე ვაკეთოთ, რაც შეგვიძლია. ჩვენ კულტურის განხრით ნაბიჯ-ნაბიჯ წინ უნდა წავიწიოთ, რაც მთავარია, ჩვენი რუსი მეგობრები გვეთანხმებიან, რომ ეს გაუმართლებელი ნაბიჯი იყო რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, ნამდვილად ცუდად გამოუვიდათ, ამიტომ ოკუპაცია მართლა უნდა დამთავრდეს, ჯარები უნდა გავიდნენ და მერე ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი.

დიმა ჯაიანი, მსახიობი:

– რუსეთს თავისი დიდი, უზარმაზარი და ძალიან ცუდი წვლილი მიუძღვის საქართველოსთან მიმართებაში ბოლო წლებში, 2008 წელსაც და საერთოდაც, მაგრამ მარტო პოლიტიკა ხომ არ არის, იქ არსებობენ ჩვეულებრივი რიგითი ადამიანები, რომლებსაც ჩვენთან ურთიერთობა უნდათ. ჩვენ უნდა ვეცადოთ მოვნახოთ გამოსავალი, იმ მეზობელს მაინც ვერავინ მოგვაშორებს და სულ ჩვენი მეზობელი იქნება, თუმცა ეს არ ნიშნავს დაჩოქვას და მათხოვრად ქცევას რუსების წინააღმდეგ. საერთო გამოსავალი უნდა მოვნახოთ, თუნდაც მსგავსი შეხვედრების კუთხით.

– რუსი ხელოვანების მისაღებად მზად ხართ?

– რა თქმა უნდა, ყველა მზად არის რუსი ხელოვანების სამასპინძლოდ, თეატრები, მუსიკალური კოლექტივები, მომღერლები – ყველა მზადაა.

– თქვენი რუსი კოლეგების აზრი იცით?

– კი, ისინიც თანახმა არიან, მათაც ძალიან უნდათ, რომ აღდგეს ძველი ურთიერთობები. ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ სიტუაცია დათბეს და ორმა მეზობელმა მშვიდად იცხოვროს ერთმანეთის გვერდით.

– კიდევ როდის შეიკრიბებით?

– ერთ თვეში ალბათ ისევ შევიკრიბებით და ჩვენს მოსაზრებებს გავაცნობთ ერთმანეთს. მთავარია, პირველი ნაბიჯები გადაიდგა და მერე მომავალი გვიჩვენებს რა იქნება.

დავით ოქიტაშვილი, ხელოვანთა სახლის ხელმძღვანელი:

– რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა პირველ რიგში კულტურული ურთიერთობების გაღრმავებით უნდა დაიწყოს, რადგან რუსეთში ძალიან აფასებენ ქართულ კულტურას. სულ მალე კრემლში „ერისიონის“ კონცერტი გაიმართება და იმდენად მონატრებულია რუსული საზოგადოება ქართულ ხელოვნებას, ბილეთები უკვე აღარ იშოვება. ეს პოზიტიური მხარეები კარგად უნდა იქნას გამოყენებული. კულტურული ურთიერთობები კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს. სწორედ ამ საკითხების განსახილველად შევიკრიბეთ ჩვენ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და მჯერა, რომ ყველაფერი გამოგვივა.

ბაადურ წულაძე, მსახიობი:

– ჩერჩილი სტალინს შეეკრა და რომ ჰკითხეს რატომო, უპასუხა, იცით რას გეტყვით, ჰიტლერი ჯოჯოხეთს რომ დაეცეს, მე სატანას გვერდით დავუდგებიო. ეს არის პოლიტიკა. თურქებმა ცოტა გვაწამეს და ცოტა წაიღეს ქართული ტერიტორიები? ხმას რატომ არ ვიღებთ? ისინი არ არიან ოკუპანტები? ამიტომ ჩვენც უნდა ვიცოდეთ ჩვენი ადგილი. იცით როგორ გაუჭირდათ ინგლისელებს, ბრიტანეთის იმპერია რომ დაინგრა? ფრანგები რა დღეში იყვნენ ალჟირში? ადვილი არ არის, როცა იმპერია ინგრევა. რუსეთი რომ ოკუპანტია, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი, მაგრამ ნორმალური ურთიერთობები მეზობელთან უდავოდ საჭიროა.

ჯუმბერ ლომინაძე, მეცნიერი:

– საკითხი, რომელსაც განვიხილავთ, უაღრესად მნიშვნელოვანია. დიპლომატია იმიტომ არსებობს, რომ დიპლომატებმა დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობები, მოქიშპესთან უნდა შეძლო საუბარი. მეზობელია რუსეთი და როგორ შეიძლება რუსეთს ვებრძოლოთ. საქართველოში ამბობდნენ, რუსეთის ძეგლები გავიტანოთო, მაშინ მოსკოვში შოთა რუსთაველის ძეგლი უნდა ავიღოთ. ასე ლაპარაკი სამარცხვინოა, ხალხი არის ძალა, ამიტომ ხალხსაც უნდა დაეკითხონ პოლიტიკოსებმა აზრი და ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღონ. მესმის, რომ რთულია რუსეთთან ლაპარაკი მაშინ, როცა მას ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, მაგრამ თუკი მოლაპარაკების მაგიდას არ მივუჯდებით, ეს პრობლემა არასოდეს მოგვარდება. ჩვენი შეკრების მიზეზიც ეს იყო – ჩვენ გვსურს გადავდგათ პირველი ნაბიჯები და შედეგიც აუცილებლად იქნება.

სპორტი

ლელო ხარებმა გადაარჩინეს

საქართველოს მორაგბეთა 23-ე ეროვნული პირველობის რეგულარული სეზონის დასრულებამდე 3 ტური და ერთი გადადებული თამაში დარჩა.

15-ე რაუნდის ცენტრალური მატჩი „ავჭალაზე“ გაიმართა, სადაც დედაქალაქურ დერბში „ლელო“ „ლოკომოტივს“ გაეჯიბრა და 49:29 დაამარცხა. მიუხედავად სოლიდური სხვაობისა ლელოელებს პრემიალური ქულა არ ერგოთ, რაც შესაძლოა ძვირად დაჯდომოდათ, მაგრამ მათ ხასიათი რუსთავის „ხარებმა“ გამოუკეთეს, რომელიც „არმიას“ ბოლომდე ებრძოლა და 18:21 დამარცხდა. ამით მასპინძლებმა პრემიალური ქულა ჩაიწერეს, მეტოქეს იგივე არ დაანებეს და „ლელომ“ ლიდერობა შეინარჩუნა.

ქუთაისის „აიამ“ სტუმრად აჯობა „არმაზს“ – 19:7. ამით რიონისპირელებმა მე-3 ადგილი და პლეი ოფის პირველ ეტაპზე ქუთაისში თამაშიც პრაქტიკულად დაიბევეს., ხოლო „არმაზსს“ საფიქრალი გაუჩინეს, რადგან „ჯიქებმა“ აუტსაიდერი „ყოჩები“ 47:8 გაანადგურა.

კიდევ ერთი მატჩი „აკადემიასა“ და „ბათუმს“ შორის გაიმართა, რომელიც ზღვისპირელებმა 30:15 მოიგეს.

შეგახსენებთ, რეგლამენტის თანახმად, პლეი ოფის პირველ ეტაპზე პირველ-მეორეადგილოსნები ისვენებენ, მესამეადგილოსანი მეექვსეს, ხოლო მეოთხეადგილოსანი მეხუთესთან ერთმატჩიან ჯახს გამართავს.

მეორე ეტაპზე პირველ-მეორეადგილოსნები ერთმატჩიან დუელში გაარკვევენ იმ გუნდის ვინაობას, რომელიც ფინალში თამაშის უფლებას დაიბევებს, დამარცხებული კი, ამავე უფლებისთვის მცირე ფინალში იბრძოლებს, სადაც მისი მეტოქე კიდევ ერთი ჯახის გამარჯვებული გუნდი იქნება. იქ მესამე-მეექვსე და მეოთხე-მეხუთეადგილოსანი გუნდების წყვილს შორის გამარჯვებულები იბრძოლებენ და მასპინძლის უფლება მესამე-მეექვსეადგილოსანს შორის გამარჯვებულს ექნება.

რაც შეეხება პლეი აუტს: რეგულარული პირველობის დასრულების შემდეგ, უმაღლესი ლიგის ბოლოადგილოსანი პირველი ლიგის გამარჯვებულთან, ხოლო უმაღლესი ლიგის მე-9 ადგილოსანი პირველ ლიგაში მეორე ადგილზე გასულ გუნდთან ორრაუნდიან ბრძოლას გამართავს.

სატუჩნიო ცხრილი:

1.ლელო	15	13	0	2	438:212	61
2.არმია	15	13	0	2	380:228	60
3.აია	15	10	2	3	399:225	50
4.არმაზი	15	10	0	5	287:257	42
5.ჯიქები	15	8	0	7	304:243	40
6.ლოკომოტივი	15	5	2	8	307:307	30
7.ხარები	14	4	0	10	209:308	21
8.ბათუმი	14	4	0	10	237:335	19
9.აკადემია	15	4	0	11	156:396	18
10.ყოჩები	15	1	0	14	216:419	7

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სიმღერა ინსტრუმენტალური თანხლების გარეშე; 2. აირის, სითხის მინარევებისგან გასაწმენდი ხელსაწყო; 3. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 4. ხორბლის ფქვილის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 5. მწვერვალი კავკასიონზე; 7. როკ-ანსამბლ „იუ-თუ“-ს ლიდერი, ბრიტანეთის საპატიო რაინდის ტიტულის კავალერი; 11. ძლიერ-ფეთქებადი ნივთიერება; 13. იტალიური პელმენი; 15. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 16. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 18. კამეჩის ან ძროხის ტყავისაგან დამზადებული, წყლის საზიდი დიდი ტიკი; 19. იაპონური აბანო.

თარაზულად: 6. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 8. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 9. ეკლესია თბილისში; 10. საპატიო თანხლება; 12. მრავალშრიანი ფანერა; 14. დაქირავებული კავალერი; 17. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 20. ერთი და იმავე სიმაღლის ორი ან მეტი მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერადობა; 21. ფრანგი მხატვარი-აბსტრაქციონისტი; 22. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 23. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი.

შეადგინა თ.ბოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მადრიდი; 3. დებიტი; 8. პაროლი; 9. ლომი; 14. ალალი; 15. ფარანი; 17. როკო; 20. ნაგაზი; 22. ზუთხი; 23. კახეთი; 25. იფი; 26. ადლი; 27. არკა; 28. ვერმიშელი.

შვეულად: 1. მალა; 2. ირი; 3. დეიტრონი; 4. ტუ; 5. მაიონეზი; 6. სოიო; 7. მიუზეტი; 10. მული; 11. იდეოგრამა; 12. კირჩხიბი; 13. ფასი; 16. მარანი; 18. ათერომა; 19. სკივრი; 21. ზამში; 24. თოვლი.

სკანვორდის პასუხები:

1. იბიცა; 2. ვალსი; 3. ალ; 4. ბოლიდი; 5. ბერწი; 6. ფარაონი; 7. ამინ; 8. ბოა; 9. ლაწანი; 10. ლეილა; 11. ომი; 12. მერიმე; 13. მალა; 14. ოძისი; 15. პასაკალია; 16. „ლამარა“; 17. სია; 18. კოჰორტა; 19. ლაიმა; 20. ალამი; 21. ამბიონი; 22. კულონი; 23. ოტია; 24. ანეტო; 25. მეტალი; 26. მილიონი; 27. ანტილოპა; 28. არარა; 29. პორტალი; 30. „მოპრა“; 31. მარლენ; 32. ია.

სურათებზე: კეიტ ჰადსონი; ჯანლუკა ძამბროტა.

ვენესუელის ოპოზიცია ცოცხალი ჩავესის ჩვენებას ითხოვს

ვენესუელის ოპოზიციის მომხრეებმა კარაკასის ცენტრში მარში მოაწყვეს და ხელისუფლებას პრეზიდენტ უგო ჩავესის მონაცემების გასაჯაროება მოსთხოვეს. ამის შესახებ სააგენტო „როიტერი“ იუწყება.

ასობით ადამიანი პლაკატებით მარშირებდა: „გვითხარით სიმართლე!“ და „შეწყვიტეთ ტყუილი!“ ისინი მტკიცებულებებს ითხოვდნენ საიმისოდ, რომ უგო ჩავესი ცოცხალია.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ჩავესი უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში კარაკასის სამხედრო ჰოსპიტალში იმყოფება, სადაც ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციას გადის. ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ გამოჯანმრთელება გართულებით მიმდინარეობს, თუმცა, საავადმყოფოში ჩავესი სახელმწიფოს საქმეებითაც არის დაკავებული. აქციის ჩატარება კი გავრცელებულმა ხმებმა გამოიწვია იმასთან დაკავშირებით, რომ ვენესუელის პრეზიდენტი გარდაიცვალა, ან კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. ჩავესის მკურნალობის გამო, ვერ შედგა 10 იანვარს დანიშნული პრეზიდენტის ინაუგურაცია. უგო ჩავესმა 2012 წლის ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. შეგახსენებთ, რომ ვენესუელას ვიცე-პრეზიდენტმა, ნიკოლას მადურომ, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, უგო ჩავესი თავს მშვენივრად გრძნობს, კარგ ხასიათზეა და მისი გარდაცვალების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, სიმართლეს არ შეეესაბამება.

მადურომ პირველად ოფიციალურად განაცხადა, რომ ჩავესმა ქიმიოთერაპიის კურსი, 2013 წლის იანვარში ჯერ კიდევ კუბაში ყოფნის დროს დაიწყო. „ის ძლიერია და ეს ნებისმიერ თერაპიაზე მნიშვნელოვანია. ის კარგ ხასიათზეა და ბრძოლას განაგრძობს“, – განაცხადა მადურომ. მისი თქმით, ვენესუელას პრეზიდენტის ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესება იმის ბრალია, რომ „მან მთელი ცხოვრება, სხეული და სული ქვეყნის კეთილდღეობას მიუძღვნა“. აღნიშნულ ფაქტს პანამის ყოფილი ელჩი გილერმო კოჩესი უარყოფს. მან რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ვენესუელურ ტელეარხთან საუბრისას განაცხადა, რომ ჩავესი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან გამორთეს რადგან ის ჯერ კიდევ ორი თვის წინ გარდაიცვალა. 2012 წლის დეკემბერში 58 წლის უგო ჩავესს მეოთხე ოპერაცია გაუკეთდა. გასულ წელს მას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს

ლეხ ვალენსა შესაძლოა, ჰომოფობიისთვის გაასამართლონ

პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტს, ლეხ ვალენსას ჰომოფობიაში ადანაშაულებენ. ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს. პროკურატურაში განცხადებით პოლონეთის პარლამენტის დეპუტატი, რიშარდ ნოვაკი შევიდა. განცხადების მიზეზი, ერთ-ერთ პოლონურ არხზე პოლონეთის პრეზიდენტის ინტერვიუ გახდა, რომელიც ეთერში პირველ მარტს გავიდა. ყოფილმა პრეზიდენტმა გადაცემაში განაცხადა, რომ ჰომოსექსუალები პარლამენტში ყველასაგან განცალკევებით, კედელთან უნდა ისხდნენ. ვალენსას თქმით, გეები უნდა ხვდებოდნენ, რომ ისინი უმცირესობა არიან. პროკურატურას, ჯერჯერობით, კომენტარი არ გაუკეთებია. არც ის არის ცნობილი, აღიძვრება თუ არა სისხლის სამართლის საქმე. სექსუალური უმცირესობების უფლებების თემა პოლონეთში ფართოდ განიხილება. პარლამენტმა, მცირე ხნის წინ, უარი თქვა კანონპროექტზე, რომელიც ერთსქესიანი წყვილებს დაქორწინების საშუალებას აძლევდა. ლეხ ვალენსა (დ.29 სექტემბერი 1943) პოლონეთის პრეზიდენტი იყო 1990-1995 წლებში. დამოუკიდებელ პროფკავშირთა გაერთიანების „სოლიდარობის“ ყოფილი ხელმძღვანელი. ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში (1983).

ბერლინი შენგენის ზონაში ბულგარეთისა და რუმინეთის მიღებას დაბლოკავს

აუცილებლობის შემთხვევაში, გერმანია შენგენის სივრცეში ბულგარეთისა და რუმინეთის მიღებას დაბლოკავს. ამის შესახებ განცხადება გამოცემა „შპიგელთან“ საუბარში გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰანს-პეტერ ფრიდრიხმა გააკეთა. გერმანიის ხელისუფლებას საკუთარი სახელმწიფოსა და ევროკავშირის დასუსტება არ სურს, ამიტომაც ბერლინი ევროკავშირის ეკონომიკურად და პოლიტიკურად სუსტი ქვეყნების მიღების გზით გაფართოების წინააღმდეგია. გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ამას გამოიყენებს აშშ, რომელიც ასეთ ქვეყნებზე ზეწოლას მოახდენს, რათა მთელი ევროზონა შეასუსტოს.

შენგენის ზონაში შედის ევროპის 25 სახელმწიფო, რომლებმაც 1985 წელს ქალაქ შენგენში (ლუქსემბურგი) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. შენგენის ზონა ჰგავს ერთგვარ სახელმწიფოს, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ტურისტული ზონისათვის, რომლის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება. ეს წესები შეიმუშავა 1999 წლის ევროკავშირის ქვეყნების ამსტერდამის შეხვედრამ. გარდა ამისა, შენგენის ხელშეკრულება მოქმედებს სამ ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში: ისლანდიაში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში და დე-ფაქტოდ სამ მიკრო-სახელმწიფოში: მონაკოში, სან-მარინოში და ვატიკანში. ევროკავშირის ყველა ქვეყანამ გარდა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის, შეასრულა დანაპირები და შევიდა შენგენის ზონაში. გამონაკლისია კვიპროსი, რუმინეთი და ბულგარეთი, რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა შესულიყვნენ კავშირში. ამ დროისათვის შენგენის ხელშეკრულება მოიცავს: 25 ქვეყანას, 4.312.099 კვ. კმ. და 400 მილიონ მოსახლეს.

შენგენის ხელშეკრულებამ დაადგინა რომ შიდა, სახელმწიფოებს შორის საზღვრები გაუქმებულიყო. ხოლო გარე საზღვრები გამაგრებულიყო. ასევე ქვეყნები ვალდებულნი არიან რომ ერთიანი პილიტიკა შეიმუშავონ მიგრანტების მიმართ, რაც მოითხოვს მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემის შექმნას.

TV პროგრამა

სამშაბათი 5 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 17.00 „საფარი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „აქცენტები„ 23.40 ფეხგურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: მანჩესტერი — რეალი (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 01.30 მხ/ფ „წმინდა ვალენტინის დღე„ (ალბა) (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 5 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ I ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 6 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ძვრივი„ 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 დოკ/ფ „ფუფუნების სამყარო„ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ავიატორი„ (კ. ბლანშეტი) 01.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.50 მხ/ფ „ძაღლური ცხოვრება„ (ბ.ჰ ოსკინსი) (ტიტ.) 03.30 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მფვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ძალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 სპექტაკლი „ეზოში ავი ძაღლია„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 მოკ/ფ „პეპელა„ 10.50 საქართველოს ისტორია 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ VI ნაწ. 13.25 კონცერტი-პლაჩიდო დომინგო 14.50, 18.35, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ინესა მერაბიშვილი„ პორტრეტი 16.05 აქტუალური თემა 16.30 მხ/ფ „მეტიჩარა„ 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.02 პატრიარქის ქადაგება 21.05 დოკ/ფ „წინაპართა ნაკვალევზე„ 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 23.20 დოკ/ფ „გურული ფირალები„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

მაესტრო

07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30 ყოველდღიური ამბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 01.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 00.55 „ყოველდღიური ამბები„ 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე ჰოსპიტალიზებულია

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე, გასტროენტერიტის სიმპტომებით, ჰოსპიტალიზებულია ლონდონის მეფე ედუარდ მეშვიდეს სახელობის საავადმყოფოში. ბუკინგემის სასახლის განცხადებით, უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში დედოფლის მონაწილეობით დაგეგმილი ყველა ღონისძიება, მათ შორის დედოფლის რომში ჩაბრძანება გაუქმებულია. როგორც ბი-ბი-სი იტყობინება დედოფლის მიერ ვიზიტების გადადება ან შეცვლა ძალიან იშვითად ხდება.

ბოლოს დედოფლის ვიზიტი ხუთი თვის წინ მისი გაციების გამო გადაიდო. დედოფალმა ასევე ვერ შეძლო შაბათს უელსში გამგზავრება. სამეფო კარის წარმომადგენელთა განცხადებით, მონარქის ჯამრთელობას არაფერი ემუქრება.

„არ არ საჭირო ვითარების დარამტიზირება, როგორც სასახლეში აცხადებენ, ეს უსაფრთოების ღონისძიებაა, რათა შეფასდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა“, – იტყობინება ბი-ბი-სის კორესპონდენტი პიტერ ჰანტი. დედოფალი საავადმყოფოში სავარაუდოდ, ორ დღეს დარჩება. საავადმყოფოს, სადაც დედოფალი მოთავსეს პოლიცია იცავს. აქვე შეკრებილნი არის ჟურნალისტები მთელი მსოფლიოდან. მისი სამეფო უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ მეორე უინძორი (დ. 21 აპრილი, 1926, ლონდონი) – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მმართველი დედოფალი და სახელმწიფოს მეთაური, ტახტზე ავიდა 1952 წლის 6 თებერვალს, გვირგვინი დაიდგა 1953 წლის 2 ივნისს. ასევე თანამეგობრობის 15 სახელმწიფოს მეთაური (ავსტრალია, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამები, ბარბადოსი, ბელიზი, გრენადა, კანადა, ახალი ზელანდია, პაპუა-ახალი გვინეა, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, სოლომონის კუნძულები, ტუვალუ, იამაიკა), ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და კუნძული მენის ლორდი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ე.პატონის სახელობის საქართველო-უკრაინის ერთობლივი საერთაშორისო შედეგების ცენტრის „ინტერველდის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცენტრის დირექტორის მოადგილე

ანზორ ბოჭორიშვილი

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახსა და ყველა ახლობელს.

დაკრძალვა: სამშაბათს, 5 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: ფანასკერტელის ქუჩა, XX კორპუსი, III სადარბაზო.

ბიძაშვილები მერიკო, ნოდარი, გერმოგენი, სანდრო, ბიძინა, ქუჩი, ცაგო, ბათლომე, ელდარი, დათო სხირტლაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, ონის რაიონის სოფელ მრავალძალის საამაყო შვილი

თენგიზ გიორგის ძე სხირტლაძე

სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.



მეუღლე ნათელა ბახტაძე, შვილები გიორგი, გივი, და მანანა, რძლები ნატუკა, ანა, შვილიშვილები ზუკა, ნინო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ გიგინეიშვილი

პანაშვიდი: 3, 4 მარტს, 17 საათზე.

დაკრძალვა: სამშაბათს, 5 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: ფალიაშვილის ქუჩა №33.

ზურაბ გიგინეიშვილის ხსოვნას

ძალზე ძნელია, ზურაბ გიგინეიშვილზე ისაუბრო წარსულ დროში. კიდევ ერთი მამულიშვილი, თავის საქმის უბადლო მცოდნე, ქველმოქმედი, საქართველოსა და მოყვასზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება ჩვენ შორის აღარ არის.

დაიბადა 1950 წელს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი და გააგრძელა მამის, დიდი ქართველი ენერგეტიკოსის, აქვსენტი გიგინეიშვილის დაწყებული საქმე.

წლების მანძილზე ზურაბ გიგინეიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით აშენდა და ექსპლოტაციაში შევიდა არაერთი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ობიექტი საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი პრემიის ლაურეატი, ჯილდოების მფლობელი და გამოგონებების ავტორი. მარტო ენერგეტიკოსების ენციკლოპედიაში შეტანილი მისი გვარიც საკმარისია, რომ გავიგოთ რა დიდი პროფესიონალი დაკარგა ქვეყანამ. ცხოვრების მანძილზე ადამიანს შინაგან სიმტკიცეს, სირთულეებთან გამკლავების უნარს ძირითადად ის დიდი გრძნობა უყალიბებს, რომელსაც უფლის, ქვეყნისა და ოჯახის სიყვარული ჰქვია. სწორედ ამ სიყვარულმა შეაძლებინა ბოლო წლებში მას და მის ოჯახს შებრძოლებოდნენ უმძიმეს სენს, ზურაბმა ჩვეული ვაჟკაცობითა და სულიერი სიმტკიცით რომ დაითმინა სულ ბოლო ამოსუნთქვამდე.

მიუხედავად ჩვენი დიდი სევდისა და მწუხარებისა, ღრმად გვწამს, რომ მისი ვაჟკაცები, მისი შთამომავლობა გააგრძელებენ იმ ღირსეული გზით სიარულს, რომლითაც ზურაბ გიგინეიშვილმა იარა უფლისგან ბოძებული 62 წლის მანძილზე.

მეგობრები

სამგლოვიარო განცხადებები

ჯონდი ჯღამაძის მონატრება



ჯონდო, 5 მარტი ტკივილის, დარდისა და შენი მონატრების დღეა ჩვენთვის. უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს. სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამქვეყნად. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს არის ტკივილიანი დარდი, შენი კეთილი გულის ცრემლიანი მოგონება და მონატრება.

მთელი ცხოვრება შრომასა და ოჯახზე მზრუნველობაში გაატარე ჩვენო კეთილო, უბოროტო და აღალმართალო ადამიანო.

ჯონდო, მიუხედავად შენი კარგი შვილებისა, თავს მაინც მარტოდ ვგრძნობ. შენ ჩემთვის მოუშუშებელი ტკივილი ხარ.

ექვსი წელი დამთავრდა, რაც შენ დატოვე შენი საყვარელი ოჯახი. ყოველ შაბათს გინთებ სანთელს და ღმერთს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული და მარადიული სიმშვიდე დაგიმკვიდროს.

შენი მეუღლე დენიზა, შვილები ლია და თეო

მთაწმინდელი ბავშვობის მეგობრები – ია გობრონიძე, დალი ბაგრატიონი, დალი ლეკვეიშვილი, ლია ლომთაძე, გულიკო მარიდაშვილი იუწყებიან უსაყვარლესი მეგობრის

ელზა დოკვაძის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 7 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: მთაწმინდის ქუჩა №4.



ვაზისუბნის IV მ/რ I კვარტლის XIII კორპუსის მობინადრენი უდიდესი გულისტკივილითა და ალალი ცრემლით მივაცილებთ მარადიულ ქვეყანაში მიმავალ უსაყვარლეს მეზობელს – ჯიშით, გვარით, მეობითა და ცხოვრების წესით ნამდვილ ქართველ კაცს, ბატონ

ბიჭიკო იოსების ძე აბაშიძეს

ბატონი ბიჭიკო იყო ღირსეული შთამომავალი თავისი დიდი წინაპრებისა, შვილი საყვარელი მშობლებისა, საუკეთესო დედმამიშვილი, მეუღლე, მამა, ბაბუა, ნათესავი, მეგობარი, მეზობელი – ეტალონი კაცობისა, ქართველობისა...

ღმერთს შევთხოვთ, საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს.

პანაშვიდი: 5, 6 მარტს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 7 მარტს, 14 საათზე.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6567
- ევრო — 2,1603
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4922
- 100 რუსული რუბლი — 5,4073

ამინდის პროგნოზი 5 მარტისთვის

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 1

უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 2

VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება პირველი და მეორე ტომები

1 მარტიდან მესამე ტომი

5 მარტიდან მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 4

XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 3

XII-XVI საუკუნეები

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი 5 მარტისთვის

წარმატებული დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – სახლში დიდი სიხარული გელით. **კირჩხიბი** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ლომი** – ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – საქმეს გულით მოეკიდეთ. **ღრიანკალი** – ფული გაქვთ, საქმეებსაც აგვარებთ. **მშვილ-დოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – მშვენიერი დღეა. **მერწყული** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გაქვთ დანიშნული. **თევზები** – ახალი საქმე დაგაინტერესებთ, ფულიც გექნებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. ბაზრის ძველი ქართული სახელწოდება; 2. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 3. ცნობილი მექსიკელი ფერმწერი; 4. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 5. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 8. წვრილი სისხლძარღვი; 12. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 14. მოკლე, გონებამახვილური გამონათქვამი; 16. თეატრის ძველი სახელწოდება; 18. ყავის მოსამზადებელი სახელურიანი ჭურჭელი; 20. წვრილად დაჭრილი ხორცისა და ბოსტნეულისგან მომზადებული კერძი.

თარაზულად: 6. იაპონიაში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 7. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 8. ესკიმოსთა ნავი; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 11. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 15. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. პატარა მწერი, მუმლი; 19. აეროპორტი ერევანში; 21. უმაღლესი სათათბირო ორგანო ფეოდალურ საქართველოში, სამეფო საბჭო; 22. ინგლისელი პოლიციელი. 23. ასანთის ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ. კობალეიშვილმა



თბილისს არვიდას საბონისი სტუმრობდა

4 მარტს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სამინისტროში ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს არვიდას საბონისსა და აღმასრულებელ დირექტორს პაულიუს მოტეიუნაისს უმასპინძლა.

შეხვედრას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი დაესწრნენ.

ყიფიანმა და საბონისმა ლიტვის და საქართველოს კალათბურთის ფედერაციების ურთიერთთანამშრომლობის გეგმის შესახებ ისაუბრეს.

მინისტრის და საბონისის შეხვედრამდე სასტუმრო „რედისონში“ არვიდას საბონისმა, პაულიუს მოტეიუნაისმა, ბესიკ ლიპარტელიანმა და გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა პრესკონფერენცია გამართეს.

პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომ მზადდება პროექტი, რომლის საშუალებითაც შემუშავდება ლიტვისა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციების ურთიერთთანამშრომლობის 5-წლიანი გეგმა.

ბესიკ ლიპარტელიანი:

– არვიდას საბონისი საქართველოში წელიწად-ნახევრის წინ ევროპის ჩემპიონატის ელჩის რანგში იმყოფებოდა. სწორედ მაშინ გვქონდა საუბარი კალათბურთის განვითარების გეგმის შემუშავებაზე. მოგეხსენებათ, ლიტვაში სპორტის ეს სახეობა რა მაღალ დონეზეა განვითარებული და მათი გამოცდილება ძალიან წაგვადგებოდა. ამ ხნის განმავლობაში მიდიოდა მუშაობა განვითარების პროექტის იმ მოდელზე, რომელიც საქართველოს მოერგებოდა. ახლა უკვე შემოშავებულია გეგმა, რომელშიც პრიორიტეტები მწვრთნელების, ახალგაზრდა კალათბურთელების, მსაჯების სწორი მიმართულებით განვითარებას, მათ აღზრდას და პროფესიულ დახვეწას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინფრასტრუქტურის განვითარებას.

არვიდას საბონისი:

– საქართველოს დიდი საკალათბურთო წარსული აქვს და ახლაც გააჩნია ის რესურსი, რომ მნიშვნელოვან საკალათბურთო ქვეყნად იქცეს. წელიწად-ნახევრის წინ, საქართველოში ყოფნის დროს ბესიკ ლიპარტელიანთან კალათბურთის განვითარების გეგმაზე ვისაუბრე. შემუშავებულია ერთობლივი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა გაცვლითი პროექტები. მოგეხსენებათ, სპორტსმენის განვითარება ადრეული ასაკიდან იწყება. ჩვენს პროექტში ისიც არის გათვალისწინებული, თუ როგორ უნდა მოხდეს სკოლის დონეზე მოზარდების საკალათბურთო კუთხით განვითარება.

გუშინვე საბონისი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდებოდა.

მ. ჟ.

ზურაბ ცინცაძილაძე სისხლის ამბოხში ჩაება

ეკა ირემაშვილი



6 მარტს თავისუფალ თეატრში პრემიერაა. შემოქმედებითი ჯგუფი თეატრის მოყვარულ საზოგადოებას წარუდგენს სპექტაკლს „სისხლის ამბოხი“, რომლის რეჟისორიც გიორგი სავანელია. ეს არის დამოუკიდებელი პროექტი, რომელიც თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით დაფინანსდა. სპექტაკლი რეჟისორმა გურამ ბათიაშვილის „შეთქმულების“ და ჯაბა იოსელიანის „საქართველოს უკანასკნელი დედოფლის“ მიხედვით დადგა. სცენიური ვერსიის ავტორები გიორგი სავანელი და მაია ჯაფარიძე არიან, დამდგმელი რეჟისორი – გიორგი სავანელი, დამდგმელი მხატვარი – თამარ ჭავჭანიძე, მუსიკალური გამფორმებელი – გიორგი სავანელი, ტექნიკური რეჟისორი – თამარ სვანაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ ზურაბ ცინცქილაძე (ნიკოლოზ ფალავანდიშვილი), რუსთაველის თეატრის მსახიობი თამარ ჯოხაძე (მარიამ დედოფალი), რუსთაველის თეატრის მსახიობი ზურაბ ინგოროყვა, გიორგი სავანელი (ელიზბარ ერისთავი), გიორგი იარაჯული (სოლომონ დოდაშვილი), ირაკლი კვანტალიანი (დიმიტრი პაუშენკო), მერაბ ყოლბაია (გრაფი ზავილეცკი, დავით ციციშვილი), ნუგზარ წერედიანი (ჯამბაკურ ორბელიანი), ალეკო ალავიძე (სოლომონ ლიონიძე, გამომძიებელი ბოიკოვი), კახა გაბელაია (გენერალი ლაზარევი, ოხრანკის გამომძიებელი ჩევკინი), მიშა კვაჭაძე (ხაზინადარი, გამომძიებელი ვოლხოვსკი), ქეთევან შერვაშიძე (ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ცოლი), ნიკოლოზ კვანტალიანი (ასლან ორბელიანი, ოსმალეთის დესპანი, ციხის უფროსი), სოსო მგალობლიშვილი (იასე ფალავანდიშვილი, ნიკოლოზ ხიმშიაშვილი), თორნიკე ჩიხლაძე (ლაზარევის მხლებელი, პორუჩიკი), ბეგი მეტონიძე (ლაზარევის მხლებელი, შეთქმული).

– იყიდება კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, ისტორიის ინსტიტუტის შენობა. მის დასაცლელად 36 საათი ეძლევათ მეცნიერ-თანამშრომლებს. ისინი იძულებულნი არიან შეასრულონ სავალალო ბრძანება. არქივების გასატანად გამზადებას აპირებენ და თითქოს „დროში მოგზაურობას“ იწყებენ – ცოცხლდება დრამატული ისტორიული პერიპეტიები – ქართველთა უთანასწორო და დაჟინებული ბრძოლა მჩაგვრელისადმი. ისტორიული პასაჟები რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვანი ფატალური ურთიერთობის ფონზე ვითარდება ქართლ-კახეთის სამეფოს ბოლო დღეები, ბრძანება ანექსიის შესახებ, მარიამ დედოფლის მიერ ლაზარევის მოკვლა, 1832 წლის შეთქმულების მზადება, იასე ფალავანდიშვილის ღალატი, „რუსული ჩექმის ძალა“, შეთქმულთა გმირობა და დასჯა, 1921 წელს ბრძოლა ბათუმისათვის. უკეთურობისადმი ბრძოლის იდეა ყოველი ეპიზოდიდან გამოსჭვივის და თითქოს წარსულთან კავშირი არ დაკარგულა. მისი ექო აწმყოშიც გაისმის! მეცნიერ-თანამშრომლებიც გადაწყვეტენ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, დაიცვან მეცნიერების კერა, კულტურული მემკვიდრეობა და სულიერი ფასეულობები – არ დაანებონ მყიდველს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი დასანგრევად. შენობაში გამაგრდებიან და არ უშვებენ შიგნით „ახალ მეპატრონეს“, რომელიც მხუთავი აირის გაშვებითაც კი ცდილობს „საკუთრების დაცვას“. სცენა აირის ბოლში ეხვევა. ყველაფერი ეფემერული და განზოგადებული ხდება. მხოლოდ იდეაა კონკრეტული – სიცოცხლის ფასი სწორედ იმაშია, რომ ზოგჯერ იგი სიცოცხლის ფასად გიჯდება, ერის კულტურული ღირებულებების დაცვა კი მომავალზე ზრუნვაა. ასე რომ, ეს არის ერთგვარი ოდა გმირობაზე, პატრიოტიზმზე, ნონკომფორმიზმზე, უკეთურობისადმი დაუმორჩილებლობაზე და ბრძოლის ჟინზე, – აცხადებს შემოქმედებითი ჯგუფი საპრემიერო სპექტაკლთან დაკავშირებით.

ამჟამად თავისუფალ თეატრში უწყვეტი რეპეტიციებია, შემოქმედებითი ჯგუფი მაყურებელთან შესახვედრად ემზადება და მათთვის არცთუ ისე შორეული წარსულის გაცოცხლებას აპირებს.